# გრიგალი

თფილისი

შაბათი, 16 (29), სექტემბერი

1906

წლიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.


ჰელსინგფორსში სამხედრო-საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა ას სამოცდა თოთხმეტ ჯარის კაცს.—მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა ზოგიერთი მცირე უფლებები მიენიჭოს ებრაელებს.—ზემელის აზრი საყოველთაო გაფიცვის შესახებ.—გერმანიის სოც.-დემოკრატები სასტიკ ბრძოლას აპირებენ ანარხისტების წინააღმდეგ.—პროფესიონალურ კავშირებში.—სამხედრო-საველე სასამართლოები მძვინვარებენ, მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა უარესათ ძლიერდება.


№ 6 ყოველ-დღიური გაზეთი. № 6



8 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„გრიგალი“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი**: ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 2 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГРИГАЛИ“.



სოფიო მიხეილის ასული ზალდასტანოვის ქვრივი სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ შაბათს, 16 სექტემბერს 10 საათზე კუკის სასაფლაოს წმინდა ნინოს ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი შერმაზანის ძის ზალდასტანიშვილის სულის მოსახსენებლათ.

**სოლომონ ვადაჭკორია, ოლინკა გეგეშიძისა და ახალო ვადაჭკორია** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, მეორე—ქალიშვილისა და მესამე—ძმისას

გაიანე ვადაჭკორიასას.

დაკრძალვის დრო შემდეგ გამოცხადდება.

ალექსანდრე ზაქარიას ძე **ბარნოვი** და მარიამ გაბრიელის ასული **პაატაშვილისა** ღრმეს მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც უსაზღვრო მწუხარებაში, პირველის ძვირფას მეუღლის და მეორის საყვარელ და დაუვიწყარი შვილის

თამარა ბარნოვის

დიმიტრი პაატაშვილის ასულის ტრაგიკული სიკვდილის გამო, თანაგრძნობა გამოუცხადეს დასაფლავებაზე დასწრებით და ასუბეშეს სიტყვით თუ დეპეშების და წერილების გამოგზავნით.

**დ**ღეს ვეტცელის თეატრში დანიშნული წარმოდგენა: **„დამნაშავეთ“** და **„პარიჟელი ბიჭი“**, ვალერიან გუნიას სხვა და სხვა მიზეზების გამო, გადადებული იქმნა. წარმოდგენის დღე გამოცხადებული იქნება გაზეთების და აფიშების საშუალებით, ახლო მომავალ რიცხვებში.

8—9

[illegible]

გამოვიდა და იყიდება

ახალი რუსული წიგნი

Оглянемся назадъ

ჟარიბისა.

ფასი 20 კაპ.


## მთავრობა და შავრაზმელები.

—

მოგეხსენებათ, დღეს რუსეთს მთავრობა აღარა ყავს. ყოველ შემთხვევაში, მთავრობა აღარ ყავს რუსეთის მცხოვრებთა დიდძალ უმრავლესობას. ის „მთავრობა“, რომელიც ჯერ კიდევ ვითომ არსებობს, აღარ არსებობს ხალხის დიდძალ უმრავლესობისათვის,—აღარ არსებობს, როგორც ნამდვილი მთავრობა, რომელსაც მთელი ხალხი ასეთათ სცნობს რუსეთის ხალხის დიდძალ უმრავლესობას აღარ წამს დღევანდელი მთავრობა, აღარ წამს აღარც მისი კანონები, აღარც არავითარი მისი განკარგულება. თითქმის მთელი ხალხი მძულვარებით ზურგს აქცევს მას, აღარ უსმენს თითქმის აღარაფერს და მტრულათ მომართულია მის წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელი ფაქტები ჩვენ აურაცხელი გვაქვს და მათი აქ ვრცლათ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ საზოგადოთ რუსეთის მრავალმილიონ გლეხკაცობის დამოკიდებულებას მთავრობასთან, მის ადგილობრივ აგენტებთან და დაწესებულებებთან. რუსეთის გაზეთებს ყოველ დღე ამბები მოაქვს, რომ მრავალგან გლეხები მთავრობისათვის გადასახადებს აღარ იხდიან, ბევრგან ისინი კეტებით და ცულებით ერეკებიან ისპრავნიკ-პრისტავ-სტრაჟნიკებს და სხ., მრავალგან კიდევ იგივე გლეხები გადაჭრით უარს ამბობენ მთავრობის მიერ მიწათ-მფლობელობის გასაწესრიგებლათ დაარსებულ კომისიებში მონაწილეობის მიღებაზე და სხ.

მთავრობას, რასაკვირველია, კარგათ ესმის, რომ სანამ ხალხის უმრავლესობა მას ასე მტრათ ყავს გადაკიდებული, მანამ მისი მდგომარეობაც ძირგამოთხრილი იქნება და მისი ბედიც ბეწვზე ეკიდება. ამიტომ ის ცდილობს აღადგინოს ხალხის თვალში თვისი დაცემული პრესტიჟი და ამ მიზნით ის მეცადინეობს ერთი მხრით „რეფორმებით“ ხალხის გულის მოგებას, ხოლო მეორე მხრით კი რეპრესიებით მის შეშინებას და დამორჩილებას. მაგრამ, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ასეთი მოქმედებით მთავრობა პრესტიჟის აღდგენის ნაცვლათ, კიდევ უარესათ ეცემა ხალხის თვალში და კიდევ უფრო მოსისხლე მტრათ იკიდებს მას. მთავრობისათვის სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ვერავითარი თვისი „რეფორმებით“ ის ხალხის უმრავლესობას ვეღარ გადაიბირებს, ვეღარ გაიერთგულებს; ის სულ უფრო რწმუნდება, რომ ამ რეფორმებით ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებს ხალხის მცირე მოთხოვნილებასაც-კი, აღარ ძალუძს ამ რეფორმებით აღარც მისი თვალების ახვევა და მოტყუება, და ამის გამო ის სულ უფრო იძულებული ხდება რეფორმებით თამაშზე თანდათან ხელი აიღოს და სულ უფრო თავისი დღევანდელი პოლიტიკის მეორე მხარეს მიაწვეს—ზარბაზნებით და პულემიოტებით ხალხის განადგურებას შეუდგეს. მთავრობამ ასეთი მოქმედება უკვე დაიწყო სედლეციდან და სტავროპოლის გუბერნიიდან და საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მოწყალებას სხვა ადგილებზედაც გაავრცელებს.

ამნაირათ მთავრობა სულ უფრო აშკარათ წყვეტს კავშირს ხალხის დიდძალ უმრავლესობასთან და სულ უფრო აშკარათ იწყებს გალაშქრებას მის წინააღმდეგ. სამაგიეროთ, მეორე მხრით, იგივე მთავრობა სულ უფრო აშკარათ, სულ უფრო მჭიდროთ კრავს კავშირს „ხალხის“ იმ უმცირეს ნაწილთან, რომელსაც ნამდვილი რომ ვთქვათ, არაფერი საერთო ხალხთან არა აქვს. ეს ის გახუნებული თავად-აზნაურობა, და საზოგადოების ის ნაძირალებია, რომლებიც დღეს ცნობილი არიან საპატიო სახელით: შავრაზმელები. მხოლოდ ამათ-ღა შერჩენიათ ერთგულება დღევანდელ მთავრობისადმი, მხოლოდ ამათ-ღა წამთ ეს მთავრობა, მხოლოდ ესენი-ღა უსმენენ მას, და, რაღა გასაკვირალია, თუ ეს უკანასკნელიც მხოლოდ მათ იწამებს, მხოლოდ მათ მოუსმენს და მხოლოდ მათ მოთხოვნილებას გაუწევს გულმოდგინე ანგარიშს. აშკარაა, დღევანდელი მთავრობა მხოლოდ შავრაზმელთათვის არსებობს, მხოლოდ მათ ემსახურება. ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც კი რუსეთის დღევანდელ-პოლიტიკურ ცხოვრებას ოდნავ მაინც თვალ-ყურს ადევნებს. მთავრობა სრულ თავისუფლებას აძლევს შავრაზმელთა ყოველგვარ მოქმედებას, ყოველგვარ მათ ორგანიზაციებს; როგორც ფულით, ისე იარაღით ყოველგვარ დახმარებას უწევს მათ; თვითონ უბეჭდავს და აწედის მათ გასავრცელებლათ ყოველგვარ გამოცემებს, როგორც ეს, მაგალითად, ამ [illegible] ველკვირეულ გაზეთ „ობიედინენიეს“ შესახებ, რომელიც თურმე გზათა სამინისტროს სტამბაში იბეჭდება და რომელშიაც მოთავსებული ერთ-ერთი წერილი „აღფრთოვანებით“ მოიწოდებს გვარდიას „ანარქიის ერთი მსხვერპლის სანაცვლოთ კრამოლნიკებს თავები ათასობით წააგდებინეთო“.

შავრაზმელებიც სამაგიეროთ თავის მოპირნახულე მთავრობას, რასაკვირველია, ყოველგვარ დახმარებას პირდებიან და მზათ არიან თავი დასდონ მის დასაცველათ, რასაც კიდეც უმტკიცებენ მას საარაკო პაგრომების გამართვით, რომლებშიაც მათი სისხლიც საკმაოთ იღვრება.

ცხადია, რაც უფრო შავრაზმელები ერთგულათ ემსახურებიან მთავრობას, მით უფრო მეტ ერთგულებას მოითხოვენ მისგანაც, და ადვილათ ვერ აპატიებენ მას მცირეოდენ ღალატსაც კი. ისინი კრიჭაში უდგანან, სასტიკათ თვალ-ყურს ადევნებენ მთავრობის მოქმედების ყოველ ნაბიჯს და ყოველ „მრუდით“ გადადგმულ ნაბიჯისათვის პასუხის გებას თხოულობენ მისგან. ასეთი მრუდე და მოღალატური ნაბიჯი შეამჩნიეს ამ დღეებში კიშინიოვის შავრაზმელებმა სახალხო განათლების მინისტრს, რომელმაც პროცენტული ნორმის გაუქმებით წელს ჩვეულებრივზე უფრო ბევრ ებრაელებს მისცა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის ნება. მინისტრი ასე უტაქტოთ „უმაღლესი პოლიტიკის“ ძალით მოიქცა,—სახელდობრ ის ასე მოიქცა ხალხისათვის მთავრობის „კეთილ განზრახვების“ დასამტკიცებლათ, მაგრამ შავრაზმელებს „უმაღლესი პოლიტიკა“ ფეხებზე კიდიათ, არც არაფერი გაეგებათ მისი; მათი უმაღლესი პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომლის ძალითაც „საზიზღარი ჟიდები“ რაც შეიძლება ბლომათ უნდა გაიჟლიტონ ყველგან და ყოველ შემთხვევაში, ყოველ „კეთილ განზრახვების“ გარეშე. ამიტომ კიშინიოვის შავრაზმელებს, აღმაშფოთებელ ღალატათ მიუჩნევიათ რა ხსენებულ მინისტრის საქციელი, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ხელმწიფე იმპერატორისათვის მიუმართნიათ ვედრებით—მოღალატე მინისტრი სამართალში მიეცით. აქ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რა შეურაცყოფა მიუყენებიათ კიშინიოვის შავრაზმელებს ხელმწიფისათვის ასეთი ვედრებით: ისინი ევედრებიან მას—დასაჯე მინისტრი „შენი ნების დარღვევისათვისო, თითქო ებრაელების დევნა და ხოცვა-ჟლეტა ხელმწიფის ნება-სურვილი იყოს! მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ამ ხ[ა]ლათ უფრო ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ როგორც კი ხსენებულ მინისტრს კიშინიოვის შავრაზმელთა საჩივარი გაუგია, გულის კანკალით დაფაცურებულა და მეორე დღესვე საქვეყნოთ გამოუცხადებია—ღმერთი, რჯული, ებრაელების უმაღლეს სასწავლებლებში მრავლათ მიღება ჩემი ბრალი არ არის. ეს ერთი მხრით იმან გამოიწვია, რომ წელს სასწავლებლებს აუარებელი მოსწავლე-ახალგაზრდობა მოაწყდა, ხოლო მეორე მხრით კი ეს პროფესორთა თათბირის და წინანდელ მინისტრის განკარგულების ბრალია. მე კი, პირადათ, იმდენათ ერთგული ვარ თქვენი, იმდენათ მეზიზღებიან საძაგელი „ჟიდები“, რომ სამაგიეროთ ძირითად საშუალო სასწავლებლებში მათ წინააღმდეგ გაუვალ ზღუდეს აღვმართავო.

როდესაც მთელი ხალხის წარმომადგენელი დუმა შეკითხვებს წარუდგენდა ხოლმე მთავრობას მინისტრების ამა თუ იმ აღმაშფოთებელ მოქმედების შესახებ, მთავრობა ან სრულიად ყურს არ იბერტყდა, ან გაიძვერულათ პასუხს გვერდს უხვევდა და რაღაც ლათაიების ბოდვას მოყვებოდა, ან-და პასუხისათვის განუსაზღვრელ ვადას უნიშნავდა შემკითხველებს. სამაგიეროთ როგორი სისწრაფით, როგორი გულმოდგინეობით და მზრუნველობით აძლევს მინისტრი პასუხს ერთ მუჭა კიშინიოველ შავრაზმელთა ჯგუფს! დუმა, ეს მთელი ხალხის წარმომადგენელი დაწესებულება, [illegible] რომ დაარსებულიყო; სამაგიეროთ ერთ მუჭა შავრაზმელებს სავსებით მიუხწევიათ, რომ დღევანდელი მთავრობა მათ წინაშე „პასუხმგებელ სამინისტროთ“ გამხდარიყო.

ამნაირათ, რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა დიდ-ძალ უმრავლესობას დღეს მთავრობა აღარ ყავს. მაგრამ ამავე იმპერიაში არსებობს მცხოვრებთა ერთი, უმცირესი ნაწილი, რომელსაც ყავს მთავრობა და ეს მთავრობაა ეგრეთ წოდებული თვითმპყრობელი ბიუროკრატია, რომელსაც ერთ დროს ხალხის უმრავლესობაც ცნობდა თავის მთავრობათ, მაგრამ დღეს კი ერთიანათ ჩამოშორდა და ზიზღით ზურგი შეაქცია. ამის გამო ერთმანეთს მტრულათ დაუპირდაპირდნენ: ერთი მხრით, ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა უმთავრობოთ, მაგრამ ახალ მთავრობისადმი მისწრაფებით, და მეორე მხრით კი „ხალხის“ შავრაზმელი უმცირესობა, ძველი მთავრობის მეთაურობით. ამ ორ ბანაკს შორის, ამ ძველ და ახალ ქვეყანას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა ატეხილი. რაღა თქმა უნდა, ადვილი გამოსაცნობია, რომელი ბანაკი დამარცხდება და რომელი გამარჯვებული გამოვა ამ ბრძოლიდან; ადვილი გამოსაცნობია, რომ მცირე ბანაკს ვეებერთელა ბანაკი გაალამტვერებს. და თუ ეს ჯერ-ჯერობით გვიანდება, ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ დიდი ბანაკი ჯერ ნაკლებ შეკავშირებულია, მცირეს კი ჯერ ისევ ძველი ორგანიზაცია შერჩენია. მაგრამ რაც დრო გადის, დიდი ბანაკი სულ უფრო მტკიცეთ და მჭიდროთ კავშირდება, მცირეს კი დღითი დღე ორგანიზაცია ერღვევა და ექსაქსება. ასეთია რევოლიუციის წესი და ადათი! ასეთია ბუნებრივი აუცილებლობის შეუდრეკელი რკინის კანონი.

**ვალენტინ.**

---

## ხმა სოფლიდან

(ამხ. პ—ს წერილის გამო)

ყველა, სოფელში მომუშავე ამხანაგი, დიდი ყურადღებით გადაიკითხავდა ამხ. პ—ს წერილს „ჩვენი ცხოვრების“ მეცხრე ნომერში, მაგრამ არა მგონია ბევრი ვინმე დაეთანხმოს მას.

რა უნდა ვაკეთოთ დღეს სოფელში? კითხულობს ამხ. პ. და თვითონვე უგებს პასუხს: „ჩვენ უნდა მოვხსნათ ეხლანდელ სოფლის მოძრაობას ჩვენი დროშა და მის მაგიერ დემოკრატიული დროშა ავმართოთ; სოფლის მოძრაობას შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაცია სჭირია და აი სწორეთ ამისთანა ორგანიზაცია უნდა შევქმნათ ჩვენ. ამ ფართე ორგანიზაციის ფარგალში დაიწყება ბრძოლა გლეხთა სხვადასხვა ელემენტებისა, ჯგუფებისა და ამ ბრძოლაში თავისთავათ ჩამოყალიბდება პროლეტარული ჯგუფებიც, რომლებიც შეადგენენ მარცხენა ფრთას ამ დემოკრატიულ ორგანიზაციაში და მასთან ერთათ ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებშიც შევლენ“. („ჩვ. ცხოვრ.“, № 9).

ცხადია, ამხ. პ. შეუშინებია იმ გარემოებას, რომ დღეს ჩვენი პარტიისკენ მოილტვის ისეთი ელემენტი, რომლის გასოციალდემოკრატება საეჭვოა, რომელიც დღეს თუ ხვალ გაგვშორდება. მათ აინტერესებს მხოლოდ დემოკრატიული სახე ჩვენი პარტიისა და რა დაინახვენ კიდევ მეორე სახეს, სახეს სოციალისტურს, მაშინ ალმაცერათ, მტრულათ დაგვიწყებენ ცქერას. „დღეს, როცა ს.-დემოკრატიას დიდი გავლენა აქვს,—სწერს ამხ. პ.,—ბევრი ისეთი, ვინც არ არის და ვერც იქნება ს.-დემოკრატი, მაინც სოციალდემოკრატობას ჩემულობს—ეს ყველამ იცის. მაგრამ როცა ათასობით და ათი ათასობით გლეხები იმეორებენ—ჩვენ დემოკრატები კი არა, სოციალდემოკრატები ვართო, ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ ჩვენი მოქმედება სოფელში სახელით ყოფილა ს.-დემოკრატიული, საქმით კი დემოკრატიული. ეს უნდა [illegible]

მაგრამ ერთი უნდა დავეკითხო ამხ. პ.—ს: როდის იყო, რომ ს.-დემოკრატია აფუჩეჩებდა სოფელში თავის სოციალისტურ ფიზიონომიას და ხაზს უსვამდა მხოლოდ დემოკრატიულს? როდის იყო, რომ სოციალდემოკრატია სოფელში არ შედიოდა, თავდაპირველათ როგორც სოციალისტი? მე ვამბობ, რომ ეგ არ არის მართალი, ეგ რომ ასე ყოფილიყო, მაშინ იმდენათ არ უნდა გამწვავებულიყო ჩვენი დამოკიდებულება წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებთან—ს.-ფედერალისტებთან და ს.-რევოლიუციონერებთან. ჩვენ სასტიკათ ვებრძოდით და ვებრძვით დღეს „საერთო-საერო ინტერესების“ ქადაგებას სოფელში. ჩვენ სასტიკათ ვებრძოდით და ვებრძვით დღეს რეაქციონურ ქადაგებას მიწის სოციალიზაციისას. ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვააშკარავებთ სოფელში კლასთა წინააღმდეგობას და ხმა მაღლა ვიძახით, რომ ჩვენ ვართ მუშათა კლასის პარტია. ჩვენ ერთ წუთშიაც არ დაგვიტოვებია ჩვენი სოციალისტური ნიადაგი და სოფელში ვეძებდით და ვეძებთ ისეთ ელემენტებს, რომლებიც სოციალდემოკრატიულ პარტიაში უცხოთ არ იგრძნობენ თავს. გადაავლეთ თვალი ყველა იმ გაფიცვებს, რომლების სათავეში ჩვენ ვიდექით სოფელში და ნახავთ, რომ ყოველივე გაფიცვა ნათელყოფდა კლასთა ინტერესების სხვადასხვაობას და ხელს უწყობდა კლასიური თვითშეგნების გაღვიძებას პროლეტარულ ელემენტებში. სოფლის მოძრაობა ყოველთვის იმ ლოზუნგს ემორჩილებოდა, რომელსაც სოციალდემოკრატია წამოაყენებდა, ამ ლოზუნგებს არკვევდენ სოფლის ს.-დემოკრატი პროპაგანდისტები. მე ვეკითხები ამხანაგ პ—ს: წამოაყენა სოფელმა როდისმე ისეთი ლოზუნგი, რაც პროლეტარიატის ლოზუნგში არ ყოფილიყო ამავე დროს? და თუ არა, მაშინ რატომ იქნება სოფელში ჩვენი მოქმედება „საქმით დემოკრატიული?“ ვის ტაქტიკას მისდევს დღეს ამოძრავებული სოფლები? ს.-დემოკრატებისას ხომ? მაშ როგორ შეიძლება ს.-დემოკრატიული ტაქტიკა იყოს მხოლოდ დემოკრატიული?

ისტორია განმათავისუფლებელ მოძრაობისა კავკასიაში, ეს ამავე დროს კავკასიის სოციალდემოკრატიის ისტორიაა. დასაწყისი და ზრდა-განვითარება ამ მოძრაობისა—ეს ამავე დროს დასაწყისი და ზრდა-განვითა-

რებაა ჩვენი პარტიის. გლეხთა მოძრაობა, თავდაპირველათ დაწყებული გურიაში, გამოწვეულია სოციალდემოკრატებისაგან. პირველ გაფიცვას სოფელში წინ უძღოდა ბათუმში გაფიცულ მუშათა მასიური გადმოსახლება გურიაში, პირველ პროტესტს სოფლელებისას, წინ უძღოდა პროკლამაცია სი ც.-დემ. კომიტეტისა, პირველი აგიტაცია სოფლების პირველ კრებაზე გათავდა „ს.-დემოკრატიას გაუმარჯოს" ძახილით. მას შემდეგ მოძრაობა ქალაქსა და სოფლებში ს.-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ ხდება. ხელმძღვანელობა იყო დინჯი და წინდახედული, არც ერთხელ პარტიას თვალსაჩინო შეცთომა არ მოსვლია.—აბა რა გასაკვირალია, თუ რევოლიუციონურმა პარტიამ, რევოლიუციონურ მოძრაობის დაბადებასთან ერთათ დაბადებულმა, რევოლიუციონურ ხალხში დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა, აბა რა გასაკვირალია მარქსისტისათვის, რომ ამ პარტიის დროშას მიაშურა ყველამ, ვისაც კი დღევანდელი წესწყობილება აწუხებდა. მაგრამ სოციალდემოკრატია ხომ პროლეტარიატის პარტიაა, მაშ რით ავხსნათ, რომ ამ პარტიას არა პროლეტარული ელემენტებიც მიაწვა, დამეკითხებით თქვენ. ჯერ ერთი, მე იმის თანახმაც არა ვარ, რომ დიდი უმრავლესობა სოფლელებისა (როგორიც ჩვენ მოგვყვებიან) არა პროლეტარული ელემენტები იყოს. ეს არ არის მართალი. დიდი უმრავლესობა სოფლელებისა ნახევრათ პროლეტარებია და ეს გარემოება არაოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა ს.-დემოკრატიის გავლენის ახსნა გვინდა სოფელში. ყველაზე მეტი ძალა ს.-დემოკრატიამ გურიაში მოიპოვა. და აი ეს გურული მესაკუთრეების დიდი უმრავლესობა ან სანახევროთ სხვის მიწაზე მუშაობს, ან ქალაქში დადის სამუშაოთ, ან და ისეთი საკუთრება აქვს, რომელიც დიდ იმედს ვერ აღუძრავს და ცრუ ილიუზიებით ვერ გაიტაცებს მას. შევადაროთ ეხლა გურიის გლეხები ევროპის რომელიმე კუთხის გლეხებს. ავიღოთ ვენგრია.

„ვენგრიაში გლეხების დიდ უმრავლესობას არა აქვს იმდენი მიწა, რომ ამ მიწის შემოსავლით დაირჩინოს თავი. ისინი იძულებული არიან თავიანთი სამუშაო ძალა მსხვილ მემამულეებს მიყიდონ. რამდენათაც ის ყიდის თავის სამუშაო ძალას, იმდენათ გლეხი ქრება, როგორც დამოუკიდებელი მწარმოებელი და ხდება ნახევრათ პროლეტარი. და სწორეთ ამიტომ მისთვის ადვილია უარყოს კერძო მესაკუთრის თვალთა ხედვის ისარი და შეითვისოს პროლეტარიატის შეხედულება... ხოლო რაწამს ის დადგება პროლეტარიატის შეხედულებაზე, თვითონ ბრძოლის ლოღიკა მიიყვანს მას კერძო საკუთრების მოსპობის აუცილებლობამდის". როგორც ამ ამონაწერიდან ხედავთ, ვენგრიის გლეხობა და ჩვენი გლეხობა ერთნაირ მდგომარეობაში ყოფილა. რა გზას დაადგა ეს გლეხობა? ამას ნათლათ გვიჩვენებს ჩვენ ვენგრიის გლეხთა ორი კონგრესი ბუდაპეშტსა და ჩეგლედში. ბუდაპეშტის კონგრესზე წვრილ მესაკუთრეთა წარმომადგენლები დადგენ პროლეტარიატის თვალთა ხედვის ისარზე, ასე რომ ვენგრიის სოციალდემოკრატიამ ისინი უყოყმანოთ აღიარა თავის პარტიის წევრებათ. ჩეგლედის კონგრესმაც თავისი თავი სოციალდემოკრატიის მომხრეთ აღიარა. შემდეგმა კონგრესებმა ბუდაპეშტში და სამხრეთ ვენგრიის გლეხთა და სოფლის მუშათა კონგრესებმა ტემეშვარში წინანდელი რევოლიუციები გაიმეორეს *).

ამხ. ქ. სწერს: „როცა ათასობით და ათი ათასობით გლეხები სოციალდემოკრატობენ, აქ უეჭველია ეჭვი უნდა დაგვებადოსო". მას ვერ წარმოუდგენია გლეხების ასეთი გატაცება ჩვენი პარტიით იმ შემთხვევაში, თუ სოციალდემოკრატიამ თავისი ნამდვილი ფიზიონომია გამოაშკარავა. გამოდის, რომ წვრილმა ბურჟუაზიამ უეჭველათ ზურგი უნდა შეაქციოს მუშათა პარტიას, თუ ის (მუშ. პ:რ.) თავის სოციალისტურ პოლიტიკას აწარმოებს. გამოდის, რომ ს.-ფედერალისტები, ს.-რევოლიუციონერები და სხვა ასეთები, რომლებსაც გლეხები სათოფეზე არ იკარებენ, ნამდვილი სოციალისტები ყოფილან. მაშასადამე, სოციალისტური მუშაობა სოფელში ეს სიზიფის შრომა ყოფილა. მე არ შემიძლია ამას დავეთანხმო და ალბათ არც ამხ. ქ—ს ქონია სახეში ასეთი დასკვნა. რა არის წვრილი ბურჟუაზია? წვრილი ბურჟუაზია არის ისეთი კლასი, რომლის მდგომარეობა გამოურკვეველია. იმას ერთი მხრით ესიზმრება სიმდიდრე და ბედნიერება და მეორე მხრით სილატაკის და უბედურების აჩრდილს ებრძვის. ის ისტორიულათ ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ მას არ შეუძლია მთლიანი (устойчивая) პსიხოლოგია ქონდეს, რყევაშია მისი მდგომარეობა, რყევაში უნდა დარჩეს მისი იდეოლოგიაც; ეკლექტიურია მისი ბუნება, ეკლექტიური იქნება მისი შეხედულებაც. ის ქანაობს კერძო საკუთრების სიყვარულსა და სიძულვილს შუა. ასეთია წვრილი ბურჟუაზია. როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ტაქტიკა სოც.-დემოკრატიისა ამ კლასის მიმართ? ს.-დემოკრატია უნდა სარგებლობდეს ყოველივე შემთხვევით, რომ წვრილ ბურჟუაზიაში დასცეს წვრილი მესაკუთრის ილიუზიები, უნდა გაუფანტოს იმედი კერძო საკუთრებისა და სანაცვლოთ უჩვენოს პროლეტარიატის საბოლოო მიზანი—სოციალიზმი. რა თქმა უნდა, ამხ. ქ—ს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მაგრამ გასაკვირალია, რომ, როცა ამ წვრილ ბურჟუაზიის გამოწვდილ ხელებს ხედავს, ის მაშინ უკან სწევს ს.-დემოკრატიის დროშას და დემოკრატიულს აძლევს ხელში, რომ მერე ნელ-ნელა ააფრიალოს წითელი დროშა. რატომ ჩადის ამას ამხანაგი ქ.? იმიტომ, რომ მას ეჭვი ებადება—მე თუ სოციალისტი ვიყო, არა სოციალისტი რათ შემიყვარებდაო. მაგრამ ამხ. ქ—ს ავიწყდება ერთი საყურადღებო გარემოება, სახელდობრ ის, რომ „არა სოციალისტი" ჯერ არა სოციალისტური იდეოლოგიის დროშის ქვეშ არ მდგარა. ამ ეჭვს მაშინ ექნებოდა რაიმე აზრი, რომ უცბით წვრილ ბურჟუაზიას დაეტოვებია რომელიმე ბურჟუაზიული პარტია და ჩვენთვის მოეშურებია. მაგრამ ამ წვრილ ბურჟუაზიას ხომ ჩვენს მეტი ხელმძღვანელი ჯერ არავინ ყოლია, ის ხომ იმ თავიდანვე ჩვენ მოგვყვებოდა და არაოდეს არ წაუგია? მაგრამ ამხ. ქ—ს შეუძლია მითხრას—შენ ჩემ წინააღმდეგ ვერაფერს ამბობ, ვენგრიის გლეხების მაგალითი ჩემს პლანს უფრო ამტკიცებს, ვიდრე უარყოფს, იქაც ერთხანს მერე გამოუცხადებია თავი სოციალდემოკრატათ კავშირსო. მაგრამ ამის შესახებ მე აი რა უნდა ვთქვა. დასავლეთ ევროპაში ს.-დემოკრატიამ მაშინ დაიწყო მუშაობა, როცა იქ ბურჟუაზიული პარტიები გამაგრებული იყვნენ, სოციალდემოკრატიას უნდა აეღო მათი სიმაგრეები; ჩვენ კი ბურჟუაზიულ პარტიებზე ადრე გავმაგრდით, ეხლა ჩვენზე მოდიან ისინი იერიშით, იმათ სურთ ჩვენი სიმაგრეების აღება. შეიძლება ზოგ ალაგას, სადაც სოციალიზმს ჯერ კიდევ ვერ უპოვია ნიადაგი, ბურჟუაზიამ წაგვართვას რამდენიმე სიმაგრე, მაგრამ რათ უნდა დავტოვოთ ეს სიმაგრეები უბრძოლველათ, რათ უნდა ჩამოვიშოროთ ეს ხალხი, რათ მივცეთ მათ ცალკე დემოკრატიული ორგანიზაცია (ბურჟუაზიული) და რათ უნდა შევეხვეწოთ შემდეგ მათ—ეს უარყავი და ჩვენკენ წამოდიო. არა, ჩვენ ჩვენს ალაგას ვართ. ჩვენ სოციალისტები სოციალისტურ ქადაგებას ვეწევით. დემოკრატიული რევოლიუცია წარმოებს დღეს; პროლეტარიატს თავისი საბოლოო მიზნისთვის სჭირია ამ რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა. მისი ტაქტიკა საუკეთესო რევოლიუციონური ტაქტიკაა. ამ ტაქტიკას ღებულობს სოფლის ნახევრათ პროლეტარული და წმინდათ წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები. ჩვენ ვსარგებლობთ ამით. ბრძოლის პროცესში ნაწილი, რა თქმა უნდა, ჩამოგვშორდება, მაგრამ ნაწილი ხომ მაინც ჩვენ პარტიაში დარჩება. არავითარი საფრთხე არ მოელის მუშათა პარტიას იმით, რომ დღეს საეჭვო ელემენტები გვეპარება პარტიაში—დღეს არა ხვალ თვითონ დატოვებენ ისინი პარტიას.

მაშ რა უნდა ვაკეთოთ დღეს სოფელში? გავამაგროთ ჩვენი ორგანიზაციები უფრო მეტი ს.-დემოკრატიული ძალებით. გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ პროპაგანდა-აგიტაცია ხალხში, უფრო დაწვრილებით გავაცნოთ ხალხს ჩვენი პროგრამა-ტაქტიკა-ორგანიზაცია, უფრო ხშირათ გაუმართოთ სახალხო კრებებზე დებატები წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს. რაც მეტს გავაცნობთ ჩვენსა და სხვის ფიზიონომიას ხალხს, მით უფრო მალე მოხდება ჩამოყალიბება, ერთი სიტყვით, ბუნებრივი გზით მოხდა ჩვენ პარტიისკენ მასიური ლტოლვილება ხალხისა და ბუნებრივი გზითვე მოხდეს არა სოციალდემოკრატიული ელემენტების ჩამოშორება.

დასასრულ, ამხ. ქ. ამბობს: „ფედერალისტები მაშინ დაეპატრონებიან აქ მოძრაობას. თუ ისინი ნამდვილ დემოკრატებათ გადაიქცევიანო". მე მგონია აქ რაღაც გაუგებრობაა, თუ „ნამდვილი დემოკრატები" კი დაეპატრონებიან სოფლის მოძრაობას, მაშინ ხომ სოციალდემოკრატები უნდა დარჩნენ სოფლის მოძრაობის სათავეში, ვინაიდან, ლიბკნეხტის არ იყოს, სოციალდემოკრატები არიან ნამდვილი სოციალისტები მიუმატოთ „ნამდვილი დემოკრატები".

ვ—ოლა.

*) Плехановъ—пролетаріатъ и крестьянство на западѣ ст. 17—18—19.

# ახალი ამბები

ყარსის ოლქიდან იტყობინებიან, რომ ყარსის სამხედრო ჰოსპიტალიდან 4 სექტემბერს, ღამით **გაქცეულა** მე-154 დარუბანდის ქვეითა პოლკის მე-12 როტის ყოფილი ჯარის კაცი ესტატე სტუკალოვი, რომელსაც კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს მიერ 4 წლით კატორღა ქონდა მისჯილი ფელდფებელის მოკვლის განზრახვისათვის.

◆ ტფილისის მკერვალთა პროფესიონალური კავშირი აცხადებს, რომ ის დღეიდან **ბოიკოტს ხსნის არტემ დანიელოვს**, რადგან მან საჯაროთ ბოდიში მოიხადა და იმედია შემდეგში აღარ ჩაიდენს ასეთ საქმეს.

◆ კვირას, 10 სექტემბერს, თავის ეკლესიაში წირვის შემდეგ, საქართველოს **ეგზარხოსმა** ნიკონმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც საღმრთო წერილიდან ამტკიცებდა, რომ სიკვდილით დასჯა ღვთისგან ნებადართულია და აუცილებლათ საჭირო საშუალებაა „ხალხის მოსარჯულებლათო".

◆ 13 სექტემბერს, ნაძალადევში დაპატიმრებულთაგან გუშინწინ გაანთავისუფლეს რკინის გზის სახელოსნოების მუშა **სუმბათ სტეფანიანცი**.

◆ ტფილისის პარიკმახერთა ქარგლების პროფესიონალური კავშირი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის **ბოიკოტს ხსნის მიხაკა დალაქს**, რადგან მან დამნაშავეთ ცნო თავი და აღთქმა დასდო შემდეგში აღარ ჩაიდინოს ასეთი საქმე.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „14 სექტემბერს **ვანო მეჩითოვმა**, რომელსაც საკუთარი სახლი აქვს მთაწმინდაში, ფუნიკულერთან (გორნი პერ. № 3) მის სახლში მდგმურ **ისაკ გოგიჩაიშვილს** სრულიად უმიზეზოთ ბარგი გამოუყარა ქუჩაში და სახლიდან გააგდო. გოგიჩაიშვილმა თუმცა ქირა წინდაწინ აძლია და სთხოვა 2 კვირა დაეცადა, სანამ ბინას იშოვიდა, მაგრამ თავგასულმა სახლის პატრონმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა და ქუჩაში დატოვა უბინაოთ ადამიანი. სთხოვენ საზოგადოებას ზიზღი გამოუცხადონ მეჩითოვს ასეთ საქციელისთვის და არ დაიქირაონ მისი სახლი.

◆ **ს. მეჯვრისხევიდან** გვწერენ, რომ იქ 9 სექტემბერს, საღამოს 8 1/2 საათზე ადგილობრივ საერობო დარაჯებს და კაზაკებს სროლა აუტეხნიათ სრულიად უმიზეზოთ. სროლა ნახევარ საათს გაგრძელებულა. ხალხი დაშინებულა და არვინ იცოდა თურმე საით გარბოდა. სროლის დროს არავინ დაშავებულა, მხოლოდ ორი დუქანი აუკლიათ და რამდენიმე სახლში ფანჯრები ჩაულეწიათ ტყვიებით.

◆ „კავკაზის № 207-ში ნამესტნიკის შემდეგი **ბრძანებაა** დაბეჭდილი: „24 აგვისტოს უმართებულეს სენატისადმი ბრძანების თანახმათ კავკასიის პოლიციის გამგის კანცელარიაში შტატის შემცირების გამო, შტატს გარეშე რჩებიან კანცელარიის გამგე გუროვიჩი, საინსპექტორო ნაწილის გამგე ლაური, საქმის მწარმოებელთა თანაშემწე კუზმინსკი და ლუბიმოვი და საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი საგუბერნიო სეკრეტარი კელამოვი,—პირველ სექტემბრიდან".

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **აფთიაქის საწყობების** შემდეგ პატრონებს დაუკმაყოფილებიაა მოსამსახურეთა მოთხოვნები. ზ. ზარნაშვილს, პ. ნ. არონიშიძეს, ა. ზ. როსტომოვს, მ. დ. კაშიაურს, ვ. გ. ზურაბოვს, ი. ა. იეზხანოვს, დ. ი. ოგანეზოვს, ე. გ. ჯაჯანოვს და ი. სარუხანოვს. დანარჩენები ჯერ ყურსაც არ იბერტყავენ. თუ სხვებმაც არ დააკმაყოფილეს, გაფიცვა მოსალოდნელია.

◆ დაბა ახ.ლ-სენაკში (სამეგრელო) დატუსაღებული **პოლიტიკური ტუსაღები** მადლობას უცხადებენ კნ. დადიანისას, რომელმაც მათ სასარგებლოთ შეაგროვა 10 მ. და 50 კ.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: სოფ. თეკლათის მცხოვრებ **გარსო ხურცილავასათვის** ავათმყოფობის გამო

# ფელეტონი

—:—

* * *

სისხლი და ცრემლი, კვნესა, ვაება,
გმირთა ყიჟინი ბრძოლისა ველზე,
თავგანწირული სამშობლო მხარე
მზათაა, მიდის ბარიკადებზე!

—

იქ კი სატანა, დიდი სატანა
ოთხ კედელს შუა თრთის და კანკალებს,
„შურისძიება, შურისძიება!"
სისხლი ხალხისა მას შეჰღრიალებს!

—

თვით საკუთარი ღვიძლი შვილისა
მას ეშინია, მის ხმაზე კრთება,
მისი აკვანი კუბო ჰგონია,
ვერ მიდის ახლო, ვერ ეკარება!

—

გარედან კი ხმა, ბრძოლის განგაში
ისმის, თხოულობს ხალხი უფლებას,
და თვის მომავალს, სანატრელ წამსა
ძლიერი მკლავით სჭედავს და სჭედავს!

—

თანაც გუგუნებს: „გვიან-ღა არი
ბრძოლის ველიდან უკან დახევა,
თუმც ბევრი დედა გაგმირულს შვილსა
მწარე ცრემლებით გადაეხვევა!

—

მაგრამ ეს არის ერთათ-ერთი ხსნა,
მხოლოდ მახვილი გაჰკაფავს გზასა,
სისხლით ჩაუყრის ხალხი საძირკველს—
თავისუფლების წმინდა ტაძარსა!"

ი. ევდოშვილი.

## პოლიტიკური პარტიები რუსეთში

ლ. მარტოვისა.

პარტიის როლი

I

როცა მოქალაქეებისათვის პოლიტიკური მოღვაწეობა შესაძლებელი იქნება, ე. ი. სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას მიიღებენ, მაშინ ისინი პოლიტიკურ პარტიას შეადგენენ. პარტია, ეს ერთგვარათ მოაზრე ადამიანების კავშირია, რომელიც ისახავს ერთ და იმავე მიზანს და მთელ თავის ძალებს შეთანხმებით აერთებს სახელმწიფო ცხოვრებაში ერთსულათ მოქმედებისათვის. საერთო მიზანი, რომლისათვის ესა თუ ის პარტია შეთანხმდა, შეადგენს მის პროგრამას, ის საშუალება, რასაც პარტია ხმარობს მიზნის მისაღწევათ, შეადგენს მის ტაქტიკას.

სხვადასხვა პარტიებ შორის, რომლებიც სხვადასხვა მიზანს ისახავენ, ბრძოლაა ატეხილი. თვითოეულ პარტიას სურს მცხოვრებთა უმრავლესობაზე გავლენა იქონიოს. თვითოეული პარტია ცდილობს მეტი მომხრე იშოვნოს. ამ მიზნის მისაღწევათ ხშირათ არა სინდისიერ საშუალებას მიმართავენ და, რასაკვირველია, სარგებლობენ მოქალაქეების გაუნათლებლობით, შეუგნებლობით და მოტყუებით. ამიტომ ხშირათ მოხდება, რომ რომელიმე პარტიას ბრმათ და შეცდომით ემხრობიან ადამიანები, დიდხანს მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და წარმოდგენილი აქვთ, რომ მიზანი, რომლისკენაც პარტია მიილტვის, მათთვის ვითომ სასარგებლოა, ნამდვილათ კი ეს მიზანი მათთვის საზარალოა. მაგრამ, რადგანაც სხვა პარტიები, რომლებიც თავიანთ გავლენის გაფართოებას ცდილობენ, ყოველ საშუალებას ხმარობენ, მოქალაქეებს შეცთომა დაანახონ. ამის გამო ისინი, ვინც ამა თუ იმ პარტიას შეცთომით მიემხრნენ, ბოლოს შორდებიან მას, რომ მონახონ მათთვის უფრო სასარგებლო პოლიტიკური პარტია. თვითოეული მოქალაქისათვის ასეთი პარტია იქნება ის პარტია, რომელიც ყველაზე უფრო იცავს მის საზოგადოებრივ ინტერესებს. თვითოეული მოქალაქის საზოგადოებრივი ინტერესი დამოკიდებულია საზოგადოებაში მის მდგომარეობაზე: მემამულის და გლეხის ინტერესი ერთი და იგივე არაა; ფაბრიკანტის და ვაჭრის ინტერესი მუშის და ნოქრის ინტერესს არ ეთანხმება; აზნაურის ინტერესი მეჩარხინის ინტერეს არ შეეფარდება. მაშასადამე, პარტიებს შორის ატეხილი ბრძოლის მიზეზი ის არის, რომ თვითოეული მათგანი წარმომადგენელი და დამცველია თავისი კლასის ინტერესების ან რომელიმე კლასის განსაკუთრებული ნაწილის. ბრძოლა, რომელიც პარტიებ შორისაა ატეხილი, ხალხზე და სახელმწიფო საქმეებზე გავლენისათვის, არის ბრძოლა სხვადასხვა კლასების ინტერესებ შორის და მეტი არაფერი. ადამიანები იბრძვიან თავის პროგრამისათვის—იმისთვის, თუ როგორ მოაწყონ სახელმწიფო ცხოვრება, როგორი მართვა-გამგეობა დაამყარონ, როგორი კანონები გამოსცენ; ამ ბრძოლაში იხატება მხოლოდ ის ტლანქი და სასტიკი ბრძოლა, რომელიც ხდება არა პარლამენტში, არა პოლიტიკურ კრებებზე და გაზეთებში, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა კლასებ შორის კაპეიკისათვის, ერთის მეორეზე ბატონობისათვის და ერთის გასათავისუფლებლათ მეორის დაჩაგვრისაგან. აქ რამდენიმე ფაბრიკის მუშები შეერთებული ძალით ებრძვიან კაპიტალისტებს იმიტომ, რომ თავის შრომაში მიიღონ მეტი ნაწილი იმ ნაყოფის ღირებულებისა, რომელიც მუშებმა დაამუშავეს; იქ ვაჭრები ცდილობენ მუშტარს მეტი გადაახდევინონ საქონელში და თავიდან მოიშორონ გადასახადი, რასაც ომის გამო იხდის; აქ მემამულეები ცდილობენ გლეხებს იჯარის ფული მეტი გადაახდევინონ, იქ კი ბინის დამქირავებლები ცდილობენ სახლის პატრონების გაუმაძღრობას აღვირი ასდონ. ეს საზოგადოებრივი ბრძოლა თავიანთი ინტერესებისათვის სხვადასხვა კლასთა შორის შეადგენს თანამედროვე ადამიანების ცხოვრებას; ეს ბრძოლა, სახელოსნოებში დაწყებული, გრძელდება დუქნებში, ქუჩაში და იქაც, სადაც ადამიანები ერთი მეორეს ხვდებიან საზოგადო და სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლათ და საწარმოებლათ. თუ გულდასმით წაიკითხავთ სახელმწიფოს მოსაწესრიგებლათ გაზეთებში მოთავსებულ წერილებს, თუ რიგიანათ ყურს დაუგდებთ იმ სიტყვებს, რომელსაც მოლაპარაკე ამბობს რუსეთის პატიოსნება-ღირსებაზე და მის სახსნელათ, ნათლათ გაარჩევთ ამ მჭევრმეტყველურ სიტყვებში იმ უბრალო და უპატიოსნო ინტერესებს, რომელსაც ხვდები და ებრძვი ჩვეულებრივ ცხოვრებაში.

თვითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, ვის ინტერესებს იცავს და ემსახურება ესა თუ ის პარტია, რომ იგი თავისი ინტერესებით მიემხროს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ადვილათ გადაიქცევა ბრმა იარაღათ სხვის ხელში, თავის თავს ჯაჭვებს გაუჭედს და მტერს ხელში მისცემს, რომ ტყვეთ გაიძროს მას.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ პოლიტიკური პარტიები შესდგება მოქალაქეებიდან, რომ გავლენა იქონიონ სახელმწიფო ცხოვრებაზე. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინეთ რუსეთის სახელმწიფო მოწყობილი იყო ისე, რომ მთავრობა მოქალაქეებს უკრძალავდა სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მიღებას და ყოველგვარ მონაწილეობისათვის სასტიკათ სჯიდა. ასეთ დროს პარტიები ფარული იყო, ისე არსებობა არ შეეძლოთ. პარტიებს აარსებდენ ისეთი კაცები, რომლებსაც არ ეშინოდათ ციხეების, განადგურების და სიკვდილის. იმ დროს რუსეთში პარტიები ცოტა იყო და მცირე-რიცხოვანიც, რადგანაც ნაკლები იყო ისეთი ადამიანები, რომ „პოლიტიკისთვის" ხელი მოეკიდათ, ვინაიდან პოლიციელები მუდამ ემუქრებოდენ *).

პირველათ სოციალისტური პარტია შედგა. 1892 წ. „პოლონეთის სოციალისტური პარტია" დაარსდა. 1893 წ.—„პოლონეთის და ლიტვის სოციალდემოკრატიული პარტია"; 1898 წ.—„რუსეთის სოციალდემ. მუშ. პარტ." ამის შემდეგ „ლიტვის" და „ლატიშების" სოციალდემოკრატიული პარტია*), 1902 წ.—„სოციალისტ რევოლიუციონერების პარტია" დაარსდა.

ამავე დროს რუსეთის განაპირა ნაწილებში დაარსდა ნაციონალური პარტიები პოლონეთის, ლიტვის, სომხების, ქართველების და ებრაელების. ყველა ეს ნაციონალური პარტიები იცავენ რუსეთში უცხო ერების დაჩაგრულ ინტერესებს.

1903 წ. დაარსდა „განმათავისუფლებელი კავშირი". ეს კავშირი შედგებოდა რუსეთის იმ ლიბერალებიდან, რომლებმაც გადაწყვიტეს ფარული (არა ლეგალური) პოლიტიკური მოღვაწეობა. ასეთ ლიბერალთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო.

იმ დროს პარტიები ცოტა იყო და ფარულათ იბრძოდენ. მაგრამ ამ ფარულ ბრძოლას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ფარულათ მებრძოლმა პარტიამ არსებული წესწყობილების საწინააღმდეგოთ ხალხის უმრავლესობა საბრძოლველათ გამოიყვანა. ბევრი, მეტათ ბევრი, მსხვერპლი შეიწირა ხალხმა; ამდენი მსხვერპლის შემდეგ მთავრობამ საჭიროთ სცნო, რომ ხალხს უფლება მიეცეს სახელმწიფო საქმეებში ჩარევის. ამ დღიდან სულ ახალი და ახალი პარტიები არსდება; ამ პარტიებს შეუძლია აშკარა მოქმედება (ჯერ-ჯერობით ყველას არა) და სწორეთ ამიტომაა, რომ უფრო და უფრო ძლიერდება და მრავლდება.

*) ეს წერილი დაწერილია რეაქციის დაწყებამდე, როდესაც თითქმის ყველა პარტიებს ასე თუ ისე, თავისუფლათ შეეძლოთ მოქმედება. დღეს-კი, როგორც ვიცით, რეაქცია ლიბერალურ პარტიებსაც-კი დევნის.

მთარგმნელი.

*) 1902 წ. რ. ს. დ. მ. პარტიას გამოეთიშა ებრაელების ს. დ. ორგანიზაცია და დააარსეს კერძო პარტია—სრულიად ებრაელების მუშათა კავშირი (ბუნდი). დღეს კი ბუნდი, ლატიშების პარტია და ს. დ. პოლონეთის და ლიტვის შეერთებულია რ. ს. დ. მ. პ.

ფეხი მოუჭრიათ და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილა, შვიდი პაწაწა ბავშვების პატრონია და აღარც მუშაობა შეუძლია და აღარც არავითარი საშუალება არა აქვს. როცა ხურცულავა თფილისის საავათმყოფოდან სოფელში ჩასულა, გლეხებს კრება მოუხდენიათ და გადაუწყვეტიათ შეძლებისდაგვარათ დახმარება მისცენ. აგრეთვე დახმარება აღმოუჩინეს შემდეგი ადგილებიდან: სოფ. ტეირმა 30 მან.; დ. ახალ-სენაკმა—40 მ.; ზუგდიდმა—10 მ.; ფოთმა—18 მ.; სოხუმმა—40 მ.; ბათომმა—60 მ.; ქუთაისმა—40 მ. და თფილისმა—120 მ. ყველა მათ, რომლებმაც დახმარება გაუწიეს გაჭირვებულს, ამხანაგები მადლობას უცხადებენ. იმედია სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს გაჭირვებულ ამხანაგის შიმშილით სიკვდილიდან დასახსნელათ.

✦ თფილისის ქალაქის 35 მილიონიან **სესხის საქმე**, როგორც საზღვარ-გარეთიდან ზოგიერთ ხმოსანთა მიერ მიღებულ ცნობებიდან ჩანს, კარგათ მიდის, თუმცა სესხის რეალიზაციას იმ პირობებით, რასაც ქალაქი აყენებს, საზღვარ-გარეთის ბანკირები ახალ დუმის მოწვევამდე არ თანხმდებიან.

✦ **ქალაქის ამბები**. 12 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე ბებუთოვის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა ხანჯლით დასჭრა ვაჭარი აბრამ ზილბერტი; ამას შემდეგ უცნობმა გაქცევა დააპირა, მაგრამ პოლიციელები გამოედევნენ და შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა ს. ხოვლეს მცხოვრები გიორგი ხუციშვილი. ხუციშვილი მეტეხის ციხეში გაგზავნეს, ხოლო დაჭრილი ზილბერტი მიხეილის საავათმყოფოში.—თფილისის სადგურის მახლობლათ 12 სექტემბერს სამხედრო მატარებელს ქვეშ მოყვა მე-13 ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკის ეფრეიტორი ალექსი საბინი, რომელსაც მატარებელმა ორივე ფეხები მოსწყვიტა. დაშავებული რკინის გზის ლაზარეთში გაგზავნეს. 14 სექტემბერს, მალაკნის ქუჩაზე სახლი № 16-ში მცხოვრებ კოჩეგაროვმა პოლიციაში განაცხადა, რომ 13 სექტემბერს მისი შვილი მოსე კოჩეგაროვი და უკანონო ცოლი ვერა გურალსკაია ვერაზე ნიკოლოზ ბროძელთან სტუმრათ წასულან, ხოლო იქ კი კოჩეგაროვი მოუკლავთ და მტკვარში გადაუგდიათ. ამ საქმის გამო დააპატიმრეს ვერა გურალსკაია, ხოლო ნიკოლოზ კოჩეგაროვი და მისი თანამოზიარე ამხანაგები, დაიმალნენ.—14 სექტემბერს, საღამოს რვის ნახევარ საათზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით დასჭრა ს. ცხინვალის მცხოვრები ზაქარა ქურთაშვილი.—14 სექტემბერს არუთინ სევანოვის აგურხანაში კახეთის შოსსეზე ჩამონგრეულმა მიწამ გაჭყლიტა მუშა იაკობ პოდოსოვი, გვამი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.—დვორცოვი ქუჩაზე შერემეტიევის ტანისამოსის მაღაზიიდან 13 სექტემბერს ვიღაც უცნობთ 362 მანეთის სხვა და სხვა ნივთი გაუტაცნიათ.—13 სექტემბერს სიონის ქუჩაზე რევოლვერის ტყვიით მძიმეთ დასჭრეს კასრში გინჭიდან ახლათ ჩამოსული ვაჭარი, ს. ბერგერის მცხოვრები მიხეილ ტერდანიელოვი. დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

✦ რედაქციამ მიიღო რკინის გზის მოსამსახურის სოლომონ აროშიძის მიერ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოთ შეგროვილი 12 მ. 40 კ. სია შემომწირველთა *): ივანე ტატანაშვილმა, სალომე ღარიბაშვილმა, სამსონ მაღალოვმა, გ. მამულაშვილმა, გ. კაციაშვილმა, დ. მამულოვმა, გ. გაბულაშვილმა, ბ. თორონჯაშვილმა, მ. კაციაშვილმა, და მიშო კაციაშვილმა, ათ-ათი შაური; და გრიგოლ იაშვილმა 40 კ. სულ 12 მ. 40 კ.

✦ 13 ენკენისთვეს საღამოს ვიღაცას მოუკლავს ლაზარე გრონზბერგი, რომელსაც ოლგის ქუჩაზე ქონდა სახელოსნო. მოკლულის ცოლი თხოულობს აცნობონ გაზეთის საშუალებით რა მიზეზით მოკლეს მისი ქმარი, საზოგადოების: წინაშე მიუძღოდა რამე დანაშაული თუ კერძო ინტერესით ჩაიდინეს ასეთი საზიზღარი საქმე.

# პროვინციის ქრონიკა

**საჭილაოდან** გვწერენ, რომ იქ მისულა ბესარიონ ეპისკოპოზის მედავითნეთ ნამყოფი და დღეს ყველასაგან ცნობილი აფიცერი ცომაია სტრაჟნიკთა რაზმით, გადასახადებისა, და ყუბანეიშვილის მოკვლის გამო შეწერილ გადასახადის მოსაკრეფათ, რასაკვირველია, აბაშის ბოქაულის თანხლებით. სხვათა შორის რაზმი დასცემია ყარამან სურგულაძის სახლს. სურგულაძეს სამეგრელოდან გამოქცეული რაზმელის ქეიფობას აბრალებდნენ. შემდეგ ამისა ცომაიამ თავს დაესხა გიტინეიშვილს და უზომო ცემის შემდეგ დააპატიმრა, თუმცა მალე ისევ გამოუშვა. ამ სოფლის გლეხ-კაცობა მეტის მეტ გასაჭირშია. შიმშილობა აუცილებელია. შემამულეების წინააღმდეგ გაფიცვა ისევ დაიწყო. გადასახადების გადახდა სულით და გულით რომ უნდოდეთ, მაინც ვერ გადაიხდიან, რადგან ამისი სახსარი არაფერი გააჩნიათ.

**სამტრედიიდან** გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ დაუპატიმრებიათ ადგილობრივი ექიმი დ. ჯაში.

**ს. ერთაწმინდელებს** დაუდგენიათ 20 სექტემბერს ქეტატეს დღეობაზე სტუმრები აღარ მიიღონ. ვინც სოფლის ამ დადგენილებას დაარღვევს, იმ მასპინძელს გადახდება 15 მანეთი და სტუმარს 5 მანეთი ჯარიმა სოფლის სასარგებლოთ.

---

უადგილობის გამო შემომწირველთა სიის გამოცხადება დაგვიგვიანდა. რედ.

**ვოლოგდა** (ჩრდილო რუსეთი). ვოლოგდაში გადასახლებული ამხანაგები გვატყობინებენ, რომ ამ მივარდნილ გუბერნიაშიაც საკმათ გამოფხიზლებულა ხალხი. გადასახადებისათვის კარზე მომდგარ ადმინისტრაციას, პირში ჩალა გამოვლებულს აბრუნებენ უკან შემდეგი სიტყვებით: იმ მთავრობასთან არაფერი საერთო არა გვაქვს, რომელმაც ჩვენი ამორჩეული დეპუტატები გარეკა და ჩვენგან დანაბარებ ადამიანურ უფლებათა მოთხოვნისთვის სდევნისო. რახან ჩვენი დეპუტატების პირით შენსათვის არ დასთანხმდა, ახლა ჩვენთან დაიჭიროს ანგარიშაო". ვნახოთ რით დაბოლოვდება ასეთი გადაწყვეტილება გლეხებისა.

**სოფ. ზემო აკეთიდან** გვწერენ, რომ იქაურ ს. დ. ორგანიზაციას გამოეყოფია 30 კაცი და ცალკე ჯგუფი დაუარსებიათ. ახალ ჯგუფში ხუთი პარტიის წევრიც ურევია თურმე. ამ გამოცალკევებამ დიდი შური და მტრობა გამოიწვია ხალხში. ამ დღეებში მოხდარა კრება, რომელსაც მრავალი ხალხი დასწრებია. კრებას უნდა გაერჩია განცალკევებულ ჯგუფის საქციელი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელმაც ნათლათ გამოარკვია გამოყოფილი ჯგუფის ფიზიონომია, კრებამ დაადგინა: 1) გამოუცხადოს ჯგუფს, რომ სახელს ნუ უტეხს პარტიას და ამხანაგებს ჩირქს ნუ სცხებს თავისი მოქმედებით და 2) წინადადება მიეცეს ყველა ამხანაგებს, მოსპონ შური და დამოკიდებულება აღნიშნულ პირებთან, სანამ ისინი გონს არ მოვლენ და თავს დამნაშავეთ არ ჩასთვლიან. დასასრულ არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც უფრო დაწვრილებით გამოიკვლევს აღნიშნულ საკითხს.

**ოდესა**. რეაქციონერთა ენერგიამ იმატა. ყარანგოზოვის ნაცვლათ ახალი გ.-გუბერნატორი გლაგოლევი დაინიშნა. მან უკვე ისახელა თავი ადმინისტრატიული წეს-რიგით მცხოვრებთა გასახლებით. აკრძალა გაზეთი „ტოვარიშჩ"-ის გაყიდვა. ხულიგანებმა გამოსცეს მრავალი მოწოდებები, რომლებსაც გოროდოვოების თანხლებით ავრცელებენ და აკრავენ ქუჩებში. ხულიგანთა შორის ხშირია მოსწავლე ახალგაზდობაც. ადგილობრივ უნივერსიტეტში უკვე მოხდა კრება ახალი სტუდენტებისა, ძველების თანხლებით. სასწავლებლის მთავრობა ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა. რექტორმა დაშლა ითხოვა, რადგან საფრთხე იყო მოსალოდნელი. სტუდენტებმა ყურადღება არ მიაქციეს და კრება განაგრძეს. შიში საფუძვლიანი გამოდგა. გ.-გუბერნატორმა რექტორი ტელეფონით გამოიწვია და უთხრა: „რასა შვრებით, მიტინგის ნება მიგიციათ, 3000 კაცი შეურიდა, მათში უცხოც ბევრია და პოლიტიკურ კითხვებზე მსჯელობენო". რექტორმა საკადრისი პასუხი გასცა. უნივერსიტეტში პოლიცმეისტერი გაგზავნეს საქმის გამოსაძიებლათ. ახლო-მახლო ცხენოსანი ჟანდარმები და პოლიციელები ჩაასაფრეს. რექტორი და პოლიცმეისტერი ლაპარაკს მეორე ოთახიდან ყურს უგდებდენ. სტუდენტებს რო დემონსტრაცია არ მოეხდინათ, პოლიციელებს კაზაკებიც მოუმატეს. ჯარი მთელი ღამის განმავლობაში ყარაულობდა უნივერსიტეტის კედლებს.

**ოზურგეთიდან** გვატყობინებენ, რომ სამ სექტემბერს იქ ჩასულა ვიღაც ბათუმელი ბეგო ნაკაშიძე, რომელიც თურმე „კომიტეტს ეძებდა **„ტერორისტთა რაზმის შესადგენათ"**. ორი დღე იწრიალა საბრალომ, მაგრამ „კომიტეტი" არავინ უჩვენა და სადღაც წაბრძანდა. ის ოჯახ აშენებული რა უჭირდა დემეტრე მგელაძესთან მისულიყო, ის ხომ უთუოდ მიასწავლიდა „კომიტეტთან"?

2 სექტემბერს ოზურგეთში დაატუსაღეს მასე ტულუში და პ. თოთიბაძე მათ კორესპონდენციის შავი უნახეს. „მაშ ესენი არიან, ჩვენ რომ გაზეთებში გვლანძღავენ, მაგათ წავკიდებ საქმესო", იმუქრება დემეტრე მგელაძე და მუქარას უქმათ არ ჩაუვლია. 7 სექტემბერს დაბეჭდეს ტულუშის სახლი და დუქანი; ტულუშის ცოლ-შვილი კი გარეთ გამოყარეს.

გაჩხრიკეს აგრეთვე ქედის სკოლის მასწავლებელი ეგ. სალუქვაძე, მაგრამ ხელსაყრელი ვერაფერი აღმოაჩინეს, რამაც ძლიერ დაღონა დიმიტრი.

**ზუგდიდიდან** გვწერენ, რომ იქაურ წიგნის მაღაზიაში, რომელსაც ბ-ნი მ. ადამია განაგებს, სანთლით ვერ იპოვით ერთ თანამედროვე შინაარსის წიგნაკს. მართალია ადგილობრივი პოლიცია „შლიაპის" ტარებისა და „დაფიქრებული" სიარულისათვის იჭერს ხალხს, მაგრამ სხვაგან ნება დართული წიგნების აკრძალვა არ შეუძლია და რომც მოიწადინოს ასეთი თვითნებობა, მაშინაც შეიძლება საქმეს ეშველოს. თორემ ახლანდელი საქციელი ადამიასი იმას გავს, რომ „მგლის შიშით, კაცი ტყეში ვეღარ შეხვიდე". მკითხველებისათვის საჭიროა თანამედროვე შინაარსის წიგნაკები და წიგნის მაღაზია ვალდებულია მოგვაწოდოს.

## პროვინცია

**ავჭალა**. სულ ორი თვე იქნება, რაც სადგურ ავჭალამ და იმის გარშემო მდებარე სოფლებმა თავი დაახწია სულთამხუთავ რეაქციის ბრჭყალებს და შეუდგა თავიანთ საქმეების მართვა-გამგეობას ისე, როგორც ამას მოითხოვდა განმათავისუფლებელი მოძრაობა. მართავენ პატარ-პატარა მიტინგებს, აწყობენ პატარ-პატარა ორგანიზაციებს, ავრცელებენ ს. დ. ფურცლებს და ბროშურებს და იძენენ ყველა იმას, რაც ორგანიზაციისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ასეთი სასიხარულო მოვლენა სამწუხარო ფაქტათ დარჩენილა ზოგიერთ გადამეტებულ გულკეთილ ვაჭარ-ტონებისთვის და შესდგომიან არსებულ ს. დ. ჯგუფის მოქმედებაზე იერიშის მიტანას. მას ბრალს სდებენ იმაში, ვითომც მისი წევრები და მასთან რაზმელები *) აწუხებდენ ხალხს, დადიან ღამ-ღამე და იარაღს რთმევენ. 2) ფულს კრებენ ყალბი საბუთებით და ანგარიშს არავის აძლევენ. 3) საზოგადოთ მოქმედებენ პარტიის სახელით და პარტიასთან კი არავითარი კავშირი არ აქვთო. სწორეთ ამნაირი ბრალდების აღსადგენათ შემთხვევა მქონდა დაწვრილებით გამომეკვლია ადგილობრივ, რის შედეგიც აღმოჩნდა ის, რომ არც ერთ ბრალდებას არ აქვს საფუძველი და ეს არის ან ნებათი ან და უნებლიეთ ზემოხსენებულთა „გულკეთილური" პროვოკაცია.

არც ღამე დასცემიან ვისმეს იარაღისთვის და იარაღი წაურთმევიათ იმისთანებისთვის, რომლებიც ამის ღირსნი არ ყოფილან. ვერც ერთი საბუთი ვერ წარმოგვიდგინეს ამის შესახებ. არც ფული შეუგროვებიათ ისე, რომ ამას საბუთი არ ქონოდეთ. რაც შეეხება ანგარიშებს, დაუყოვნებლივ იქმნა წარმოდგენილი. მათი ვითომდა არა პარტიული მოქმედების შესახებაც ვერაფერი საბუთი წამოაყენეს, პირიქით, როდესაც ხალხს შეეკითხე: კმაყოფილი ხართ თუ არა ორგანიზაციის მოქმედებით მეთქი—მათ ერთხმათ განაცხადეს: „ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ და არაფერი საწინააღმდეგო გვინახავს მის მოქმედებაშიო.

ზემოხსენებულ ვაჭარ-ტონებს გვარს არ დავასახელებ, ვინაიდან იმათ დამარცხებულათ იგრძნეს თავიანთი თავი და აღგვითქვეს, შემდეგში უფრო ფრთხილათ მოიქცევიან და ამნაირ უთავბოლო ბრალდებას თავს დაანებებენ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ეს ვაჭარ-ტონები თავიანთ თავს ს. დ. უწოდებენ, ის კი ავიწყდებათ, რომ ბევრი არის მოწოდებული, მხოლოდ მცირედი რჩეული. **სტუმარი**.

## მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს.

**თბილისის საკანდიტეროებში მომუშავეთა მოთხოვნები**: 1) მუშაობა წარმოებდეს 8—5 საათამდის. 2) მიემატოს ჯამაგირი ვისაც აქვს 15-20 მან. 20 პროც., ვისაც 20 მანეთზე მეტი აქვს—15 პროც. 3) ბინის ფული თვეში 4 მანეთი. 4) კერძო ფულათ დღეში 40 კაპ., პური ხაზეინსა. 5) უფასო ექიმობა ერთი თვის სრული ჯამაგირით, 2 თვეს კი ადგილი შეუნახოს. 6) მუშებს მიღება თუ დათხოვა მუშებისავე საქმე იყოს. 7) ჯამაგირი თვეში ორჯერ რიგდებოდეს. 8) შეგირდებს კერძო ფული 25 კ. 9) შეგირდს წლამდე მიეცეს ჯამაგირი 5 მან. თვეში. ერთი წლის შემდეგ ხელობის მიხედვით. 10) აბანოს და თავის გასკრეჭათ შეგირდს მიეცეს 60 კაპ. 11) საცვლები და ფართუკები კვირაში ორჯერ.

*) უნდა შევნიშნოთ, რომ რაზმელები, როგორც ეს სახელწოდება ჩვენ გვესმის, არ არსებობენ.

---

## მემარჯვენე რეაქციონურ-კონსერვატიული პარტია.

II

პოლიტიკურ პარტიებს რუსეთში, როგორც სხვა ქვეყნებში, შეადგენენ ის ადამიანები, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ არსებული სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წესწყობილების შცვლა. მაგრამ ამ პარტიებთან დაარსდა ისეთი პარტია, „რომელიც იცავს არსებულ, ძველ წესწყობილებას—კონსერვატორები.

კონსერვატიული (მემარჯვენე *) პარტიები მომხრეა სახელმწიფოს არსებული წესწყობილების; მაგრამ დღითი-დღე ცხოვრებისაგან ეს წესები ირღვევა. ამ წესების გასამაგრებლათ, რომ ის არ დაირღვეს კონსერვატორები ცდილობენ აღადგინონ დიდი ხნით უკვე გამქრალი დაწესებულებები, რომლებიც ყოველივე ახალს ეწინააღმდეგება. ასე ამ რიგათ კონსერვატორები რეაქციონერებია. ისინი ცდილობენ ისტორიის მსვლელობის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. მაგ. ზოგიერთი აზნაურები და მემამულეები, რომლებიც თავიანთ პრივილეგიას იცავენ, წინააღმდეგი არიან მოქალაქეების ყოველგვარ უფლებრივ გათანასწორებისა. ისინი იმ ზომამდე მივიდენ, რომ სურთ აღადგინონ 1861 წ. ბატონყმობა. საერობო უფროსობის დაარსებით და სხვა ზომებით ამ ბატონყმობის ნაწილი უკვე აღადგინეს.

დღევანდელი რუსეთის კონსერვატიული პარტიები—„რუსეთის მონარქიული პარტია", „რუსეთის ხალხის კავშირი", „რუსების კრება",—ყველა ესენი იცავენ დღევანდელ წესებს და წინააღმდეგნი ≈რ არიან ცოტა რომ არა მარტო ბატონყმობიდან დაიბრუნონ, არამედ უფრო ძველი—მოსკოვის მეფობის დროიდან. რუსეთის მონარქიული პარტიის პროგრამაში ასე წერია: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დღეს თავის ადგილზე ვერ არის დათავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. განაპირა ადგილებში ის სხვა ერების ეკლესიებისაგან იჩაგრება და გაძევებულია, შუაგულ რუსეთში ის ვერ არის ხალხის ზნეობრივი და სულიერი ხელმძღვანელი, მას მეორე ხარისხოვანი ალაგი უჭირავს". ამიტომ მონარქიული პარტია მიილტვის „აღადგინოს ნამდვილი ქრისტიანული ერთი მართლმადიდებელი ეკლესია". ეს იმას ნიშნავს, რომ კონსერვატორებისთვის საკმაო არ არის ის უფლებები, რომლებითაც მართლმადიდებელი სამღვდელოება სარგებლობს. მათთვის ცოტაა, რომ სხვა მორწმუნე ხალხს თავისუფალი რწმენის უფლება არა აქვს; სტაროობრიადცებს და სექტანტებს რწმენისთვის დევნიან. ეს მათ არ აკმაყოფილებს, თუმცა-ღა დღეს პოლიცია, შეიძლება ასე ითქვას, ძალით სხვა მორწმუნეებს მართლმადიდებელ ეკლესიაში მიერეკება, მაგრამ მონარქისტებისთვის ესეც საკმაო არ არის. მათი შეხედულებით ეს ნიშნავს „მართლმადიდებლობის დევნას". ერეტიკებს რომ კოცონზე წვავდენ და სამღვდელოების წინააღმდეგობისათვის მონასტერში და ციხეებში ამწყვდევდენ, მაშინ კი ნამდვილი მართლმადიდებელი ეკლესიის „აღდგენა" იქნებოდა! ისინი არ კმარობენ იმას, რომ სოფლის სკოლები მასწავლებლებით და ხალხის განათლების საქმე ხუცებს აქვთ ხელში: მათი სურვილია, რომ ეკლესია იყოს „სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელი", ე. ი. რომ მან, ეკლესიამ, ასწავლოს და აღზარდოს ბავშები, უპატრონოს ხალხს, ცენზურასავით თვალ-ყური ადევნოს, თუ რას კითხულობს იგი, ხუცებს უფლება ქონდეთ გაასამართლონ გლეხები და სათაც მოისურვებენ იქით წაიყვანონ.

მონარქისტების პარტია თავის პროგრამაში წერს: „დაცულ იქნას რუსეთის ხალხის წოდებრივი უფლება", ე. ი. პარტია მომხრეა, რომ მცხოვრებლები დანაწილდენ პრივილეგიების მიხედვით—აზნაურებათ და გაყვლეფილ გლეხებათ. სხვა ერებისთვის მონარქისტებს სურთ, რომ ისინი არ უნდა სარგებლობდენ იმ უფლებებით, რა უფლებებითაც რუსები სარგებლობენ. მათი პროგრამა ამბობს, რომ რუსეთის ხალხი, „როგორც თავის სამშობლოს ცენტრში, ისე მის განაპირა ადგილებში თავის თავს უნდა გრძნობდეს იმ სახლის ბატონ-პატრონათ, სადაც მან სტუმართ-მოყვარეობით მოათავსა მშვიდობიანი სხვა ერები". რუსები უნდა იყოს „ხაზეინები", პოლონელები, ებრაელები, ფინლიანდელები, ლატიშები, სომხები, ქართველები კი—სტუმრები. „ხაზეინს", რასაკვირველია, მეტი უფლება აქვს ვიდრე სტუმარს. ყოველგან სკოლებში სწავლა რუსულ ენაზე უნდა იქნეს, თუნდაც ეს ყველა შეგირდებს არ ესმოდეთ. რასაკვირველია, მოხდება, რომ ადგილობრივ მცხოვრებ 100 ბავშში იქნება ორი რუსის ბავში, რომელსაც ადგილობრივი ენა, პოლონური, ფინური, სომხური, ქართული, არ ეცოდინება; „სტუმარმა" ხაზეინს პატივი უნდა სცეს და აგილი დაუთმოს! ყოველგან რუსეთის კანონებით უნდა გაასამართლონ, პოლონეთის, და კავკასიის ადათებს და წესებს ყურადღება არ უნდა მიექცეს, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში პოლონელს და ებრაელს ის უფლება არ უნდა ქონდეს, რაც რუსს აქვს და სხვ.

მონარქიული პარტია იცავს „რუსეთის მონარქის ერთ განუსაზღვრელ თვითმპყრობელობას", მაშასადამე, ის წინააღმდეგია ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლების მართვა-გამგეობისა. დუმა, რომელსაც მხოლოდ თათბირის უფლება აქვს მთავრობასთან სახელმწიფო საქმეების შესახებ, მონარქისტებს არ სურთ; ასე ამ რიგათ ისინი კონსერვატორები კი არ არიან, არამედ რეაქციონერები.

მონარქიული პარტია იცავს თვითმპყრობლობას და წოდებას, მოქალაქეების პოლიტიკური უფლებები არ სწამს; თავისუფლება ბეჭდვის, სიტყვის, კრების, კავშირების და გაფიცვის—ყველა ეს მათთვის დიდი ბოროტებაა. „სახელმწიფოს ძლიერი მთავრობა", ყოველგვარი მოქალაქობრივი მოძრაობის სასტიკი მტერი—სახელმწიფო წესწყობილების საფუძველი ასეთი უნდა იყოს.

ამის შემდეგ აშკარაა ეს კონსერვატიული პარტია ვის ინტერესებს იცავს. პირველ ყოვლისა ის იცავს უმაღლესი ჩინოვნიკების ინტერესებს. ეს ჩინოვნიკები მართვენ და განაგებენ რუსეთს. მათი მთავრობის დაცვა და შენარჩუნება აუცილებლათ მოითხოვს მოქალაქეების უუფლებობას. ამასთანავე მონარქისტების პროგრამასთან მჭიდროთ დაკავშირებულია ინტერესები პოლიციელების და ჟანდარმთა რაზმის, რომლებიც თავის ბედნიერებას ამ უუფლებობაზე აშენებენ და ამყარებენ. უმაღლესი სამღვდელოება, ბერები და ძმანი მათნი, მღვდლები—მისიონერები დაინტერესებული არიან იმაში, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხალხი სულიერათ და ხორციელათ გაადუხჭიროს და დაიმონოს. მემამულე აზნაურობა, რომელებსაც მიწები აქვს, მაგრამ კაპიტალი კი არა, საჭიროებს წოდებრივ უფლებას და „ძლიერის" დახმარებას, ე. ი. უკანონოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას; ეს მათთვის საჭიროა ბატონყმობის აღსადგენათ და გლეხების სისხლის გამოსაწოვათ. ის რუსი ჩინოვნიკები და ვაჭრები, რომლებიც ფინლიანდიაში, პოლონეთში, კავკასიაში და სხვა განაპირა ადგილებში ცხოვრობენ, დაინტერესებული არიან ევრეთ წოდებულ „სახელმწიფოს მთლიანობაში", ე. ი. მათ ძალით სურთ სხვა ერების დაჩაგვრა და მათთვის უფლებების წართმევა: პოლონეთში, კავკასიაში და ფინლიანდიაში ის რუსი, რომელიც მონარქისტებს სურთ სრულუფლოვან ხაზეინათ გახადონ, მუშა და გლეხი კი არაა, არამედ ჩინოვნიკები და ვაჭრებია—მუშები და გლეხები ადგილობრივი მცხოვრებლებია. ამ ჩინოვნიკების და ვაჭრებისათვის განაპირა ადგილებში რუსის „ხაზეინობა" არის სიმდიდრის შესაძენი წყარო და ამიტომაა, რომ ისინი უკიდურესი „პატრიოტებია".

ერთი სიტყვით, „მემარჯვენე" პარტიების მომხრეა ყველა ის, ვინც კაპიტალცემული და მდიდარია რუსეთის თანამედროვე წყობილებაში, ვინც კი თავის ბედნიერებს ბნელობაზე, გაუნათლებლობაზე, დაბეჩავებაზე ამყარებს, ყველა ისინი, ვინც სახელმწიფო წესწყობილების მცირეოდენი შეცვლისათანავე დაკარგავს ყოველგვარ ძალას, როგორც პარაზიტები, რომლებსაც არ შეუძლიათ ცხოვრების სახსრის მოპოვება. ბიუროკრატები (ჩინოვნიკები), პოლიცია, სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და ვაჭრები—აი საფუძველი, რაზედაც ეს პარტიაა აშენებული.

საშუალება, რითაც ისინი თავის ინტერესებს იცავენ, სრულიად ეთანხმება მათ პარაზიტობას და აზიელობას. თავისუფალი ბრძოლა „მონარქისტებს" არ სწამთ; ისინი პოლიციის ძალით აჯობინებენ მათთვის არა სასიამოვნო შეხედულების მოსპობას. „ძლიერი ძალა"—ძალმომრეობა და უკანონობა—მათი ბრძოლის უპირველესი საშუალებაა. აი ამ გზით ეპირებიან გამარჯვებას და გამაგრებას. „ძლიერი ძალის" დამხმარეთ, რასაკვირველია, უნდა იყვენ გამოთაყვანებული შავრაზმელები და ხულიგანები. ყოველგვარ დარბევას, და ჩუმათ მკვლელობას „მონარქისტები" ფარულ აწარმოებენ.

რუსეთის ხალხის განვითარება „მონარქისტებს" ყოველგვარ ნიადაგს ფეხქვეშ აცლის, მხოლოდ პოლიციელთა და შავრაზმელთა ძალმომრეობა რჩებათ ხელში. მაგრამ არც ეს საშუალება შველის, რადგანაც რუსეთი ფეხს დგამს ევროპიულ ცხოვრებაში; არც სამხედრო წესებმა 80 ათასი ტუსაღით, არც ყოველ კუთხეში შავრაზმელების თარეშობამ არაფერი უშველა „მონარქისტებს" და ყველა მემარჯვენე პარტიებს სახელმწიფო დუმის არჩევნების დროს; მიუხედავათ გლეხების შეშინებისა და ყოველგვარ უსინიდისო საქციელისა, მონარქისტებმა დუმაში 400 წევრში, მხოლოდ 20 ძლივს გაიყვანეს.

ზ. ჩ—ა.

(შემდეგი იქნება).

*) მემარჯვენე პარტიას ეძახიან კონსერვატორებს იმიტომ, რომ საზოგადოთ პარლამენტში თავმჯდომარის მარჯვენა მხარეს იჯდენ. მარცხნით კი პროგრესიული პარტიები სხედან.

12) ხაზეინს არ ქონდეს უფლება შეგირდი ქარხანას გარეთ ამუშაოს. 13) გაფიცვის დროს მიეცეს სრული ჯამაგირი და ხარჯის ფული, გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი. 14) თუ რომელიმე ხაზეინმა „კაპრიზით“ ქარხანა დაკეტა, მიეცეს დათხოვნილ მუშებს 5 თვის ჯამაგირი სრული ხარჯისა და ბინის ფულით. საკანდიტეროებში მომუშავეთა ბიურო.

—

**გაფიცვები ოზურგეთში**. კვირას, 3 სექტემბერს, ხელმეორეთ გაიფიცენ აქაური ნოქარ-შეგირდები. გაფიცვა იმან გამოიწვია, რომ ბურჟუები მხოლოდ დაპირდენ დაკმაყოფილებას და ნამდვილათ კი არავინ დაუკმაყოფილებიათ. გაფიცვამ თავზარი დასცა პოლიციას. დიმიტრომ და კოწია ბერიძემ მაშინვე ჩამოიარეს გაზეთები და წინადადება მისცეს, გაფიცულ ნოქრებს უკან ნუ მიიღებთო. დიმიტრო ნადირობასაც შეუდგა. მან ქუჩაში დაიჭირა ორი პატარა შეგირდი. ბავშვს შემოარტყა სტრაჟნიკები შიშველი რევოლვერებით და ხანჯლებით და დაუყვირა: „მითხარი ვინ გაგფიცა, ვინ იყო ის, რომ გითხრა დაანებე მუშაობას თავიო, თორემ ცოცხალს არ გაგიშობ“-ო. ბავშმა პასუხი არ გასცა, უბარი რაინდი იძულებული გახდა გაეშვა. 6 სექტემბერს გაიფიცენ აქაური მეეტლეები, რადგან მათი მოთხოვნები უამისოთ არ დააკმაყოფილეს. მეორე დღეს ეტლთა მწარმოებელ ამხანაგობის შენობაში მოხდა ხსენებულ ამხანაგობის წევრთა კრება. ზოგიერთი წევრები ამხანაგობისა ძლიერ გაეწინააღმდეგება გაფიცვას. სხვათა შორის ერთი „რეხი“ ქალაქის თავმაც, გასილ ხუნდაძემ, წარმოსთქვა. მან პირველათ გააკრიტიკა სიტყვა „მოთხოვნილება“ „გაგიგონია მო-ო-თხო-ვ-ნი-ლება?! ეს უპატიოსნებაა, როგორ გაბედეთ“-ო და სხვ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, კრებამ მეეტლეთა დაკმაყოფილება გადაწყვიტა.

—

**სარდაფების, ტრაქტირების, სირაჯების და სამიკიტნოების მუშებს!** დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როცა ჩვენ დილის ხუთი საათიდან ღამის თორმეტ საათამდე მოუსვენრათ ვმუშაობდით ნესტიან და ბნელ სარდაფებში. ჩვენთვის არ იყო დასვენება, არც თავისუფალი დრო; ჩვენ არ ვიყავით შეერთებული და ადაც რა თქმა უნდა მეფობდა ჩვენზე. მარა ჩვენ შევერთდით, მოთხოვნები შევიმუშავეთ და ადებს წარვუდგინეთ. მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ადებმა უარი გვითხრეს. ჩვენ გავიფიცეთ. გაფიცვამ კიდევ უფრო შეგვაერთა, კიდევ უფრო შეგვაკავშირა. ერთობის გრძნობები კიდევ უფრო განმტკიცდა. მაგრამ აი ამ დროს ადებიც შეერთდენ, გამაგრდენ და ჩვენ სიმაგრეზე იერიში მოიტანეს, მაგრამ ამაოთ! ჩვენ შეერთებულ ძალას ადებმა ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. ჩვენც მივყევით. შვიდი დღის ბრძოლის შემდეგ, მათი სიმაგრე ავიღეთ. ჩვენ გავიმარჯვეთ! შევიმცირეთ სამუშაო დრო, მოვიმატეთ სამუშაო ქირა, გავიუმჯობესეთ სამუშაო პირობები და მასთან მოვიპოვეთ უფლება, რომ მოსამსახურის მიღება და დათხოვნა მოსამსახურეების საქმე იყოს და სხვ. ამასთან მოთხოვნების მეცამეტე მუხლში ისიც იყო ნათქვამი, რომ თუ ადა დაითხოვს მოსამსახურეს თავის სურვილით, ვალდებულია გამოუცხადოს ამის შესახებ ერთი თვით ადრე და მისცეს მას სამი თვის ჯამაგირი. როდესაც ჩვენ ვამბობდით: „მოსამსახურის მიღება და დათხოვნა თვით მოსამსახურეების საქმეაო“, ჩვენ აქ მოსამსახურეებში ვგულისხმობდით კავშირის საბჭოს და არა რომელიმე ადის მოსამსახურეებს. ზოგიერთ შეუგნებელმა ამხანაგებმა კი ეს სულ მეორე აზრით გაიგეს და ადებსაც ეს უნდოდათ. სხვა-და-სხვა დაპირებით ადა იმხრობს მოსამსახურეებს შეგნებულ მოსამსახურის წინააღმდეგ და ისტუმრებს. გითომ რა და, სთქვას: „თვით მოსამსახურეები ითხოვენ და მე კი აქ რა შუაში ვარო“. ამით უნდა სამი თვის ჯამაგირის გადახდა თავიდან აიცდინოს. მაგრამ როცა ვვედა ამაებს გებულობს კავშირის საბჭო დაიცავს უმიზეზოთ დათხოვნილ ამხანაგს, მაშინ კი ადა მზათ არის გადაიხადოს სამი თვის, ოღონდ კი ათვალწუნებული მოსამსახურე თავიდან მოიშოროს, და აი ამნაირათ ზოგიერთი სინდისზე ხელაღებული ადები, ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს ქუჩაში ერეკებიან. რომ ეს არ მოხდეს, თფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო ცვლის მეცამეტე მუხლს ამნაირათ: მოსამსახურის მიღება და დათხოვნა მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს საქმეა. ადას არა აქვს უფლება აიყვანოს მოსამსახურე, თუ მას კავშირის საბჭოსაგან ნება არ ექნება. ადას არავითარ შემთხვევაში უფლება არ აქვს თავის სურვილით დაითხოვოს მოსამსახურე. ადასა და მოსამსახურეს შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ კავშირის საბჭო ნიშნავს გამომძიებელ კომისიას; ამ კომისიის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ასრულებს ორივე მხარე.

თფ. მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო.

# რუსეთის ამბები

—

**სტოლიპინის „ოტსტავკის“ შესახებ**. სტოლიპინის სამსახურიდან გადადგომაზე უფრო და უფრო ბევრს ლაპარაკობენ. სანდო წყაროებიდან გ დმოგვცემენ, რომ სტოლიპინი ოჯახობით საზღვარგარეთ გაემგზავრება ოქტომბრის დასაწყისში. სტოლიპინი ძალიან მოქანცულათ გრძნობს თავს და ხანგრძლივი დასვენება სჭირია; მეორე მხრით, იგი გრძნობს, რომ ყველა რეპრესიები, ყველა განსაკუთრებული წესები, სამხედრო-საველე სასამართლოები—ყველა ეს არ ამართლებენ სტოლიპინის იმედებს, ეს აიძულებს პრემიერს სამსახურიდან გადადგეს.

**შავრაზმული აგიტაცია**. შავრაზმელთა ყოველკვირეულ გაზეთში დაბეჭდილია ამნაირი მოწოდება: „მზადდება საარაკო ბოროტ-მოქმედება ანარხისტულ ორგანიზაციისა გვარდიის შესაშინებლათ. ჯალათ ანარხისტებს სურთ 10—11 სექტემბერს გაწყვიტონ სიტახტო ქალაქის ქუჩებზე ყველა აფიცრები. საშინელი წარმოსადგენია, რა შედეგები მოყვება ამ სიმხეცეს, გვარდია, როგორც ლომი გალიადან, გამოვარდება დაკეტილ კაზარმიდან, შურისძიების სურვილი დასძლევს დისციპლინას: გვარდია ჩააჩრჩობს რევოლიუციას მის მოციქულების და მოთავეების სისხლში. ანარხიის ერთ უმანკო მსხვერპლისთვის გვარდია ათას თავს წაგლეჯს მათ და, თქვენ, ბატონო ტერორისტებო, გეტყვით: „ნუ აიღებთ ხელში გახურებულ რკინას, სულ ერთია ხელში დაჭერას ვერ შეძლებთ!“

**სინოდი არჩევნებისათვის ემზადება**. სინოდმა ადგილობრივ ეპარქიალურ საბჭოებს მოსთხოვა ცნობები იმ მღვდელთა შესახებ, რომლების არჩევაც მოსალოდნელია სახ. დუმაში. უნდა გაიგზავნოს დაწვრილებითი ცნობები ყოველ პირის შესახებ, რა გავლენა აქვს ამ პირს თავის სამწყსოზე, რანაირია მისი შინაური ვითარება და სხ.

**პობედონოსცევი მძიმე ავათ გამხდარა**. ექიმები ურჩევენ, სრული მოსვენებით ცხოვრებაა თქვენთვის საჭიროო, უკეთესი იქნება, თუ ბადენ-ბადენში წახვალო.

**პოლიციის დეპარტამენტმა** შეადგინა სია სახ. დუმის ყოფილ წევრებისა, რომლებიც ამორჩევამდის სამართალში იყვენ მიცემულნი, ან რაიმე სასჯელი ქონდათ გადაწყვეტილი, ან დაპატიმრებული იყვენ განსაკუთრებულ დაცვის ძალით. ეს სია პრემიერ-მინისტრს წარედგინება და მაზე იქნება დამოკიდებული, ყოფილ დეპუტატების ბედ-იღბალი.

**ამხ. იური ცედერბაუმი** (ლ. მარტოვი), „კურიერის“ ერთი რედაქტორთაგანი, ეს სამი თვეა ზის „კრესტებში“, ცალკე კამერაში. მას გაეგზავნა საბრალმდებლო ოქმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგია ავტორი მრავალ წერილებისა და ბროშიურებისა, რომლებსაც აწერია ფსევდონიმი „ლ. მარტოვი“, როგორც მაგ., „მუშათა საქმე რუსეთში“, „ახალი კანონი“ და სხ. ამხ. ცედერბაუმის ჯანმრთელობა ხანგრძლივ დაპატიმრებამ ძალიან შეარყია.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

ამხანაგო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით შევეკითხო ფარმაცევტს ბ. ალექსანდრე მდივანს, თუ რა უყო მან იმ ფულებს (100 მანეთამდე), რომელიც მან ხარკოვის ქართველ სტუდენტებში მოაგროვა დამწვარ და დაზარალებულ გურულ გლეხების სასარგებლოთ. როგორც მახსოვს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილა რომელიმე გაზეთში და არც დანიშნულებისამებრ მიუღწევია ამ ფულებს. ვსთხოვ ადრე მიპასუხოს სად ან ვის გადასცა ეს ფულები. თუ ეხლაც ისინი ჯიბეში განისვენებენ, კვლავ ვსთხოვ გაგზავნოს გურიის დამწვრების კომისიაში შემდეგი ადრესით: **Въ городъ Озургеты, Нинѣ Накашидзе.**

პატივისცემით ანტ. ჟორჟოლიანი.

—

„ჩვ. ცხოვრების“ 31 აგვისტოს ნომერში მე მოვათავსე წერილი, სადაც წინადადებას ვაძლევდი ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებზე კორესპონდენციის ავტორს, ბ. ლუკუხნარელს, გამომყოლოდა სამედიატორო სამართალში და იქ დაემტკიცებინა ის ბრალდება, რომელიც მან წამოაყენა ამ კორესპონდენციაში.

პასუხი უნდა მიმეღო სამი დღის განმავლობაში; მაგრამ აგერ ათი დღე გადის, და ბ. ლუკუხნარელი ხმასაც არ იღებს.

ხელმეორეთ ვიწვევ ბ. ლუკუხნარელს სამართალში; ის ვალდებულია ან დამიმტკიცოს თავისი სასიზღარი ბრალდება, ან და საჯაროთ უარყოს იგი.

პასუხს ველი ერთი კვირის განმავლობაში.

ქალ. ქუთ. გამგეობის წევრი ვლ. კანდელაკი.

—

გაზ. „შრომის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია დ. ცხინვალიდან ურცხვათ ბრალს მდებდა, ვითომც მე, დაბა ცხინვალში მევგროვებინოს ფული ს. დ. პარტიის სახელით და დამებარჯოს ჩემი კერძო საჭიროებისათვის. ამის გამო ხსენებული კორესპონდენციის ავტორი გამოვიწვიე სამედიატორო სამართალში. კორესპონდენტის თანხმობით დავნიშნეთ დრო საქმის გასარჩევათ, მოვიდენ მედიატორენი, მაგრამ კორესპონდენტი კი წასულიყო ცხინვალიდან. მედიატორეებმა (ადგილ. ს.-დ. პ. წევრებია) ე-მ და მ. დ-მ სრულიად გაამტყუნეს კორესპონდენტის ნათქვამი, რამ აიძულა ბ. კორესპონდენტი ურცხვი ტყუილები და ცილის წამება მოეჭორა, თუ არ ადგილობრივ ს.-დ. პარტიის დასამცირებლათ და მასზე ჩირქის მოსაცხებათ. თუ კორესპონდენტი მოინდომებს საქმის ხელ-ახლა განხილვას მისი თანდასწრებით, მე დიდი სიამოვნებით მზათ ვიქნები.*)

გიგა როსტომოვი.

—

ჩემი მტრებისაგან გავრცელებულია ჩემზე მრავალი ნაირი ხმები, ვითომდა მე ჯაშუშ-პროვოკატორი ვიყო და სხვა... მოვითხოვ ამ ვაჟბატონებისაგან ყოველი ჩემი ჯაშუშ-პროვოკატორობა დამიმტკიცონ სახალხოთ, ამავე გაზეთის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ნება მექნება თვითონ იმათ ვუწოდო ჯაშუშ-პროვოკატორები. ეს წერილი მე მქონდა გამოცხადებული უკანასკნელ ნომერ „ლამპარში“, მაგრამ ვერ მიაღწია ამნაირი ვაჟ-ბატონების ყურამდის, ამისათვის ხელ მეორეთ ვაცხადებ, და ვიწვევ საბუთებით დამიმტკიცონ სიმართლე.

ილია მიხეილისძე სუხიშვილი. (იგივე სუხიევი.)

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

13 სექტემბერი.

**ადესა**. ოთხ კაცს რომელთაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, კატორღაზე შეუცვალეს ეს სასჯელი.

**რიგა**. დილის რვა საათზე ტრამვაის ვაგონს ყუმბარა ესროლეს. და ორივე მხრიდან სროლა აუტეხეს. ერთი მგზავრი ნაფლეთებათ აქცია ყუმბარამ. ვატმანი მძიმეთ დაიჭრა. დაიჭრა აგრეთვე გოროდოვოი და ორი მგზავრი.

**კიევი**. კონევსკის მაზრის პოლეტვინის მღვდლის სახლის სარკმელთან ყუმბარა აფეთქდა. სახლში მყოფნი უვნებლათ გადარჩენ. ეჭვი ადგილობრივ მეჭედელზე მაიტანეს.

**მოსკოვი**. დილით ჩამოახრჩვეს გლეხი გრაჩევი.

**ჰელსინგფორსი**. დროებით სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სანალმო როტის 174 კაცის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. მათ დახვრეტა გადაუწყვიტეს.—ღამით პოლიციის სახლის სარდაფში ყუმბარა აფეთქდა. დაშავდა მხოლოდ ერთი პოლიციელი.

**ეკატერინოსლავი**. ბრიანსკის ქარხნის ახლო ვიღაც უცნობებმა მოკლეს ქარხნის დირექტორი ივანოვი, მსუბუქათ დასჭრეს მისი თანაშემწე სვიშჩოვი.

**ლოძი**. დღისით მოკლეს გოროდოვოი გრომოვი. პოდუნოჩნი ქუჩაზე იპოვნეს მასწავლებელ ედუაბედ მიხაილის გვამი.

**ასხაბადი**. რვა შეიარაღებულმა უცნობებმა გაძარცვეს „ნადეჟდა“-ს კანტორა, წაიღეს 6000 მანეთი.

**იაროსლავი**. იაროსლავის მაზრაში სოფლელთა სწავლა-განათლების საქმე სისრულეში მოდის. განათლების სამინისტრო შეპირდა დახმარებას. ახალი სკოლების აშენებას მალე შეუდგებიან.

**ბაქო**. რადგან მეორე ხარისხოვან რესტორანებში არა კეთილსაიმედო პირები თავს იყრიდენ, გენერალ-გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომ რესტორანები საღამოს რვა საათზე დაეხურათ. აზრათ ქონდათ ამ დადგენილების გაუქმება, რადგან გენ.-გუბერნატორს მუქარის წერილები მიეღო; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მან მაინც დაამტკიცა ის და გამოაცხადა, რომ მუქარით ვერას გახდებიან.

**ბაქო**. პოლიციამ გაიგო, რომ რესტორან „სევასტოპოლში“ ანარქისტ-კომუნისტები და ტერორისტები იკრიბებოდენ და იქ იარაღის საწყობი ქონდათ. რესტორანში საღამოს რვა საათზე კრება უნდა მოეხდინათ. პოლიცია მივიდა პატრულებით რესტორანის გასაჩხრეკათ და იქ მყოფთ წინადადება მისცეს ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. ანარქისტებმა მაუზერები დაუშინეს. პატრულებმა პასუხი გასცეს. ანარქისტთა ერთი ნაწილი მიიმალა. დაიჭირეს 58 კაცი, რომლებთაგან ზოგიერთები უკვე გაანთავისუფლეს. სროლის დროს შემთხვევით მოკვდა ერთი კაცი და დაიჭრა რამდენიმე. ქალაქ გარეთ კიდევ დაიჭირეს ოთხი ანარქისტი.

**პეტერბურგი**. 8 და 13 სექტემბრის სხდომაზე მინისტრთა საბჭომ განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება სოფლის მცხოვრებთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ სხვა წოდებებთან. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ზოგიერთი მცირე უფლებები მიანიჭოს გლეხებს.

— სამხედრო საოლქო სასამართლომ მუშა ვედზინსკის, რომელმაც 30 ივლისს გოროდოვოი მოკლა, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

— დღეს ნევის გემების ამშენებელ ქარხნის არტელჩიკს შაჩენკოს მუშებისათვის დასარიგებელი 15 ათასი მანეთი წაართვეს.

**ეკატერინოსლავი**. კუზმიცკის მამულის განადგურებისთვის ერთს ერთი წლის ციხე გადაუწყვიტეს და სამს რვა თვის.

**ჰელსინგფორსი**. ფასკალ ალბრეხტის სახლის სარდაფში ყუმბარა აფეთქდა, სახლში მყოფნი არ დაშავებულა დაინგრა კედლები და სახლის მოწყობილობა. აფეთქება, ისეთი ძლიერი იყო, რომ მძინარე ხალხი ლოგინებიდან ქუჩაში გადაცვივდენ.

**პეტერბურგი**. დროებით სამხედრო სასამართლომ განიხილა 173 მატროსის და მეციხოვნე სალდათის საქმე, რომელთაც სვეაბორგში მომხდარ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს. 4 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; 24-ს კატორღაში გაგზავნა, 92 ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და 53 გაამართლეს.

**სოსნოვიცი**. დახვრიტეს ლევ კოვიო, რომელსაც თავდასხმას აბრალებდენ.

**მალმიჟი**. დუმის ყოფილი წევრი სადირინი გუბერნატორის განკარგულებით ორი თვით საპატიმროში ჩასვეს, გლეხებთან ბაასის გამართვისთვის.

14 სექტემბერი.

**რიგა**. სამხედრო-საველე სასამართლომ ადამუს და დემალსკის, რომლებმაც ტრამვაის ვაგონს ყუმბარა ესროლეს, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**ნოვოროსიისკი**. დამნაშავე, რომელსაც სახელმწიფო არყის დუქნის გაძარცვა და გოროდოვოის დაჭრა ბრალდებოდა, დღეს დახვრიტეს.

**კოსტრომა**. პერეხტსკის მაზრაში გადასწვეს მოისეევის მამული. ესიპლევში, კალაჩოვის მამულში, არეულობა დაიწყო. გაიწვიეს კაზაკები. კოლოგრივსკის მაზრაში დარაჯები ჩააყენეს მემამულეების ხარჯზე.

**ქერჩი**. ადგილობრივ არტილერიის საწყობში მოიტანეს 230 ფუთი იარაღი, რომელიც ბერდიანსკის მაზრაში დაიჭირეს.

**ხარბინი**. 30 კავკასიელმა 12 სექტემბერს სადგურ მანჯურიიდან მომავალ მატარებელს თოფები დაუშინა. მოკლულა მემანქანე. მატარებელი გაჩერდა. ხუთი მათგანი შევიდა საფოსტო ვაგონში, დასჭრეს „პროვოდნიკი“, გაიტაცეს 3000 მანეთი და გაიქცენ. მგზავრთაგან არავინ დაჭრილა. მივიდა 1 როტა სალდათი.

**კრონშტადტი**. მატროსების აჯანყების საქმის გამოძიება დასრულდა. ხვალ განაჩენს გამოიტანენ.

**მანგეიმი**. სოციალდემოკრატების სიეზდზე ბებელმა თავის სიტყვაში დაამტკიცა, რომ გაფიცვებს გერმანიაში განსაკუთრებული ხასიათი აქვს და არ შეიძლება ხელოვნურათ გამოწვეულ იქნეს. მასიური გაფიცვა შეუძლებელია გერმანიაში. რევოლიუცია მასიურ გაფიცვით თავის დღეში არ დაიწყება; ხალხს მასა რევოლიუციისკენ რევოლიუციის გულისთვის არ მიიღტვის, ხოლო თუ საყოველთაო არჩევნებს ან ასოციაციებს შეეხება, მაშინ სერიოზულ მღელვარებას ნიადაგი ექნებაო.

**მანგეიმი**. ს.-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფესიონალურ კავშირების კომისიამ წარუდგინეს სიეზდს რეზოლიუცია, რომლითაც წინადადებას აძლევენ სისტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ანარქისტულ მოძრაობას, რომელიც კავშირებსაც მოედვა და გამორიცხონ ს.-დემოკრატიულ პარტიიდან ის წევრები, რომელნიც ანარქისტებს თანაუგრძნობენ.

*) ეს წერილი მე მაშინვე გავაგზავნე „შრომის“ რედაქციაში, როგორც გამოვიდა ხსენებული კორესპონდენცია, მარა რედაქციამ რაღაც მოსაზრებით არ დამიბეჭდა.

რედაქტორ-გამომცემელი ერ. ჩანტლაძე.


# განცხადებანი

გამოვიდა „კოლხიდის“ გამოცემა ახალი წიგნი დ. კუდრიავსკისა „როგორ ცხოვრობდენ მველათ ადამიანები“ თარგ. ის. კვიცარიძისა, ფასი 20 კ.

იყიდება: თფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და ვ. გადილიას წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში „კოლხიდაში“, ყვირილაში პლ. ლეჟავასთან, ჭიათურაში იონა ბელიაშვილთან, სამტრედიასა და ფოთში ძმ. კოხრეიძებთან, ბათუმში—გაზეთების სააგენტო „ქორიხი“ და მიხ. კალანდაძესთან, ხონში მასიკო ქელიძესთან, ნაოლალებში პ. გაგუასთან, რაჭა-ლეჩხუმში სადგურებზე: ტოლა—ლ. მასხარაშვილთან, წესში ივ. ჭიჭიძესთან, ონში დავ. კერესელიძესთან და ტყიბულში მიხ. კბილაძესთან.

ქუთაისის გუბერნიაში ამავე აგენტებთან იყიდება ახლათ შედგენილი „საქართველოს ისტორია“ მ. ჯანაშვილისა, გაზეთები და სხვა საამდროვო ქართული წიგნები.

(4—3) ის. კვიცარიძე

**ქუთაისში** გამოცდილი მასწავლებელი (14 წლის პრაქტიკის შემდეგ) ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი 5 სექტემბრიდან ხსნის კავკასიის ოლქის მზრუნველის ნებართვით კერძო მოსამზადებელ სასწავლებელს, სადაც მიიღებიან ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე, როგორც ვაჟები, ისე ქალები. სასწავლებელი იმყოფება რკინის გზის სადგურის პირდაპირ, ლუარსაბ ბერეჟიანის სახლში. (6—6)

სხვადასხვა ხელსაქმეში დახელოვნებული ვასწავლი

**ჭრა-კერვას,**

სუფთა ხელსაქმეს და წერა-კითხვას, აგრეთვე ვილებ სითვით (ГЛАДЬЮ) საქარგავებს. მსურველთ შეუძლიათ მოლაპარაკება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე, პუშკინის ქ., კეიშვილის სახლები.

(4—4) მ. დ. დუნდუა

ქუთაისში, წითელი ხიდის თავში გაიხსნა საუცხოვოთ მოწყობილი იაფ-ფასიანი **სასადილო**

**„ეკონომია“.**

სასადილოში ყოველდღე მზადდება სუფთათ და წმინდათ სხვა და სხვა საჭმელები. აქვე იყიდება ყველანაირი სასმელები.

პატივისცემით გიორგი ასათიანი და ამხ. (6—4).

**კბილების**

**ხელოვნურათ დაწმენდა, პლომბი, წამლობა და სხვ.**

გრ. მატ. იოხველი. მიხ. 90, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

ამორებს ცუდ სუნს.—„ოქროს პლომბები. (10—4)

**საჩუქარი**

ქალაქ ანტვერპენში, ბელგიის სამეფოში, საერთაშორისო ხელოვნებისა, ალებ-მიცემობის და მეურნეობის გამოფენაზე 1906 წ., რომელსაც მეთაურობდა ბელგიის პრინცი ალბერტი **ყურძნის ღვინის საუკეთესო ღირსებისათვის მიუსაჯეს**

**დიდი ვერცხლის მედალი**

მემამულე **დანიელ მაქსიმეს ძე მესხიშვილს** ქალაქ ბათუმი მიხაილოვის ქუჩა.

(3—2)

**ივ. გომელაურის**-მიერ შედგენილი ახალი წიგნა:

„სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები“.**

იყიდება ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში (თფილისში).

**Состоящіе въ вѣдѣніи министерства торговли и промышленности.**

# Бухгалтерскіе курсы

## Н. В. Абраамяна,

Автора „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“, одобр. уч. отд. минист. финансовъ, какъ пособіе для коммерч. уч. заведеній и ихъ библіотекъ.

УЧАТЪ и ПОДГОТОВЛЯЮТЪ ЛИЦЪ ОБОЕГО ПОЛА въ 4 мѣсяца путемъ практики, бухгалтеріи.

Помимо существующихъ предметовъ на курсахъ съ этого учебнаго года будетъ преподаваться безплатно, ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМІЯ—какъ предметъ новый для курсовъ и СТЕНОГРАФІЯ (за особую плату, по желанію).

Начало занятій **съ 15 сентября 1906 г.** періодически черезъ каждые 4 мѣсяца ежедневно послѣ обѣда. Пріемъ прошеній съ 25-го августа ежедневно съ 5 до 7 час. вечера и 9 до 11 ч. утра. По окончаніи выдается установленный аттестатъ. разр. г. мин. финансовъ.

**Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые дополнит. и повторит. курсы рус. яз. и ариѳметики:**

Правила и программы высылаются безплатно.

Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: **Николаевская, 22,** телефонъ 744.

Вышеупомянутое руководство продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ Россіи. Выписывающіе у автора—наложенный платежъ не платятъ. Цѣна за экзем. 3 р. 50 к.

2-1


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ტფილისი, მიხეილის ქუჩ.